



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24/03/2017 №5; 31/05/2017 №9; 28/06/2017 №11; 05/07/2017 №26; 31/07/2017 №28; 21/08/2017 №31; 29/11/2017 №40 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 168,473.3 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 168,637.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 168,577.2 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 162,700.4 ათასი ლარი.

2017 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

✓ **ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება:**

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 36,860.6 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება - 8,983.6 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება - 19,178.4 ათასი ლარი;
- ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 14,651.9 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 8,820.8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 1,845.9 ათასი ლარი;

- ქალაქის დაგეგმარება - 679.6 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 145.1 ათასი ლარი;

✓ **განათლება:**

- სკოლამდელი განათლება - 13,210.8 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 139.9 ათასი ლარი;

✓ **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:**

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 11,695.4 ათასი ლარი;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 4,450.6 ათასი ლარი;



- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 270.2 ათასი ლარი;

✓ **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:**

- ჯანმრთელობის დაცვა 3,916.6 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 8,626.3 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 586.4 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (8,161.1 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (20,464.9 ათასი ლარი), ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (12.5 ათასი ლარი).



ქ. ბათუმის 2017 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება	შესრულება-ის %
შემოსავლები	154,743.3	155,497.8	100%
გადასახადები	31,300.0	30,914.9	99%
გრანტები	84,077.1	82,154.5	98%
სხვა შემოსავლები	39,366.2	42,428.4	108%
ხარჯები	87,662.9	85,201.1	97%
შრომის ანაზღაურება	19,528.6	19,384.2	99%
საქონელი და მომსახურება	32,087.5	30,902.9	96%
პროცენტი	3,583.6	3,583.5	100%
სუბსიდიები	14,504.7	14,384.2	99%
გრანტები	10.0	4.6	46%
სოციალური უზრუნველყოფა	7,848.5	7,279.2	93%
სხვა ხარჯები	10,100.1	9,662.4	96%
საოპერაციო სალდო	67,080.4	70,296.7	105%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	48,819.8	46,210.7	95%
ზრდა	62,549.8	59,350.4	95%
კლება	13,730.0	13,139.7	96%
მთლიანი სალდო	18,260.6	24,086.0	132%
ფინანსური აქტივების ცვლილება	633.6	6,660.2	1051%
ზრდა	737.5	6,660.3	903%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	5,937.2	-
აქციები და სხვა კაპიტალი	737.5	723.1	98%
კლება	103.9	0.1	0%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.1	-
ვალუტა და დეპოზიტები	103.9	0.0	0%
ვალდებულებების ცვლილება	-17,627.0	-17,425.8	99%
კლება	17,627.0	17,425.8	99%
საშინაო	17,627.0	17,425.8	99%
ბალანსი	0.0	0.0	



ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	168,473.3	168,637.5	100%
შემოსავლები	154,743.3	155,497.8	100%
არაფინანსური აქტივების კლება	13,730.0	13,139.7	96%
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.1	-
გადასახდელები	168,577.2	162,700.4	97%
ხარჯები	87,662.9	85,201.1	97%
არაფინანსური აქტივების ზრდა	62,549.8	59,350.4	95%
ფინანსური აქტივების ზრდა	737.5	723.1	98%
ვალდებულებების კლება	17,627.0	17,425.8	99%
ნაშთის ცვლილება	-103.9	5,937.2	



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 168,637.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2017 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 30,914.9 ათასი ლარი (შემოსულობების 18.3%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 82,154.5 ათასი ლარი (შემოსულობების 48.7%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 42,428.4 ათასი ლარი (შემოსულობების 25.2%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 13,139.7 ათასი ლარი (შემოსულობების 7.8%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	155,497.8	92.2%
1.1	გადასახადები	30,914.9	18.3%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	82,154.5	48.7%
1.3	სხვა შემოსავლები	42,428.4	25.2%
2	არაფინანსური აქტივების კლება	13,139.7	7.8%
3	ფინანსური აქტივების კლება	0.1	0.0%
ჯამი		168,637.5	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები






შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	შემოსულობების დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	154,743.3	155,497.8	754.5	100.5%
1.1	გადასახადები	31,300.0	30,914.9	-385.1	98.8%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	84,077.1	82,154.5	-1,922.6	97.7%
1.3	სხვა შემოსავლები	39,366.2	42,428.4	3,062.2	107.8%
2	არაფინანსური აქტივების კლება	13,730.0	13,139.7	-590.3	95.7%
3	ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.1	0.1	-
ჯამი		168,473.3	168,637.5	164.1	100.1%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის




შემოსულობების დინამიკა


(ათასი ლარი)

№	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	87,607.8	117,242.4	115,022.2	119,877.0	155,497.8
1.1	გადასახადები	11,628.1	13,937.5	18,819.4	35,081.9	30,914.9
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	54,416.5	76,387.1	63,170.7	51,564.0	82,154.5
1.3	სხვა შემოსავლები	21,563.2	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.4
2	არაფინანსური აქტივების კლება	553.4	362.6	1,626.2	5,064.7	13,139.7
3	ფინანსური აქტივების კლება					0.1
სულ ჯამი		88,161.2	117,605.0	116,648.5	124,941.7	168,637.5


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა

(ათასი ლარი)





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა





შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 154,743.3 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 155,497.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.5%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 30,914.9 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 31,300.0 ათასი ლარის 98.8%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 18.3%-ს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტი	შესრულება			
								2017 წ. გეგმასთან		2016 წ. ფაქტთან	
								გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%
1	საშემოსავლო გადასახადი				10,742.6	7,000.0	5,599.5	-1,400.5	80.0%	-5,143.1	52.1%
2	ქონების გადასახადი	11,625.4	13,936.5	18,820.2	24,339.2	24,300.0	25,315.4	1,015.4	104.2%	976.2	104.0%
2.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	792.8	861.8	1,117.8	1,199.1	1,150.0	1,528.1	378.1	132.9%	329.0	127.4%
2.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	9,519.7	11,376.5	16,322.4	21,448.6	21,450.0	22,064.9	614.9	102.9%	616.3	102.9%
2.3	მიწის გადასახადი	1,312.9	1,698.2	1,380.1	1,691.5	1,700.0	1,722.4	22.4	101.3%	30.9	101.8%
3	სხვა გადასახადები	2.7	1.0	-0.8					-		-
სულ		11,628.1	13,937.5	18,819.4	35,081.9	31,300.0	30,914.9	-385.1	98.8%	-4,167.0	88.1%

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

საშემოსავლო გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად მუნიციპალურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან შემოდის:

- საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან;

- არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან);



- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან;
- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან;
- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან;

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

საშემოსავლო გადასახადის 2017 წლის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 7,000.0 ათას ლარს, საკასო - 5,599.5 ათას ლარს, შესრულდა 80.0%-ით. კერძოდ, გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან - 1,186.1 ათასი ლარი; ფიქსირებული გადასახადიდან დაბეგვრის ობიექტზე - 28.0 ათასი ლარი, გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან - 4,084.2 ათასი ლარი, არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა) - 226.4 ათასი ლარი და გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან - 74.8 ათასი ლარი.

ქონების გადასახადი – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2017 წლის გეგმიური მაჩვენებელი 24,300.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 25,315.4 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 104.2%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

<i>(ათასი ლარი)</i>					
№	დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	24,300.0	25,315.4	1,015.4	104.2%
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	21,450.0	22,064.9	614.9	102.9%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1,150.0	1,528.1	378.1	132.9%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,700.0	1,722.4	22.4	101.3%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 21,450.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 22,064.9 ათასი ლარი. რაც გეგმის 102.9%-ია.



ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 1,150.0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 1,528.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 132.9%-ია.


მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1,722.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1,700.0 ათასი ლარი) 101.3%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	11,625.4	13,936.5	18,820.2	24,339.2	25,315.4
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	9,519.7	11,376.5	16,322.4	21,448.6	22,064.9
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	792.8	861.8	1,117.8	1,199.1	1,528.1
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,312.9	1,698.2	1,380.1	1,691.5	1,722.4

ქონების გადასახადის 2017 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2016 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 976.2 ათასი ლარით (4.0 %-ით) გაზრდილია.


ქონების გადასახადის სტრუქტურა




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:



ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით




ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით (ნაზარდი ჯამით)





ქონების გადასახადის შესრულება წლების მიხედვით (2011-2017 წლები)



ფინანსური დახმარება და გრანტები

2017 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 82,154.5 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 84,077.1 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს - 1,922.6 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 37,342.3 ათას ლარს, სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2017 წელს მიღებული იქნა 4,650.8 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 40,161.4 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 48.7%-ია.



(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	84,077.1	82,154.5	-1,922.6
1.1	გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	37,342.3	37,342.3	0.0
1.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	42,084.0	40,161.4	-1,922.6
	კაპიტალური ტრანსფერი	35,000.0	34,397.1	-602.9
	სპეციალური ტრანსფერი	542.3	542.3	0.0
	ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	6,541.7	5,222.0	-1,319.7
1.3	სხვა სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	4,650.8	4,650.8	0.0
	ჯამი	84,077.1	82,154.5	-1,922.6

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2017 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 40,161.4 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 34,397.1 ათასი ლარი, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით;**
- სპეციალური ტრანსფერი - ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5,222.0 ათასი ლარი, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით;**
- სპეციალური ტრანსფერი - 542.3 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 14 აგვისტოს #162 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, თამარის დასახლება ბარაკი №32-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული 12 ოჯახის (ჯემალ ხიმშიაშვილის ოჯახი - 7,342 ლარი, ნანული ბურჭულაძის ოჯახი - 3,936 ლარი, ზურაბ შავაძის ოჯახი - 4,051 ლარი, თამაზ დიასამიძის ოჯახი - 6,443 ლარი, ტატანა ვახლინას ოჯახი - 1,152 ლარი, გარეგინ მხიტარიანის ოჯახი - 5,219 ლარი, მახმუდ ჯაიანის ოჯახი - 2,431 ლარი, ჯუმბერ ჯაიანის ოჯახი - 3,298 ლარი, ირაკლი ჯაყელის ოჯახი - 9,998 ლარი, ნანული მახარაძის ოჯახი -



4,494 ლარი, ლილი ლორთქიფანიძის ოჯახი - 3,930 ლარი და თენგიზ გორაძის ოჯახი - 4,542 ლარი) დახმარების გაწევის მიზნით - 56,836 ლარი;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 13 სექტემბრის №195 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, ხანძრის შედეგად დაზარალებული 2 ოჯახისათვის (დაბა ჩაქვი, გოგოლიშვილის ქ. №22-ში მცხოვრები ხათუნა არძენაძის ოჯახი - 5 000 ლარი და მამია კომახიძის ქ. №120-ში მცხოვრები ნაზი თავაძის ოჯახი - 5 000 ლარი) დახმარების გაწევის მიზნით - 10,000 ლარი.

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 22 სექტემბრის №204 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩაზე, გაზის აფეთქების შედეგად დაზარალებული 8 (ემზარ სალაევის ოჯახი - 32,772 ლარი, (რევაზ დიასამიძის ოჯახი - 98,526 ლარი, ჯემალ დიასამიძის ოჯახი -13,242 ლარი, მავილე ნაკაშიძის ოჯახი - 11,987 ლარი, ფატი ნაგერვაძის ოჯახი - 9,398 ლარი, ნარგული ძირგვეძის ოჯახი - 13,171 ლარი, ლილი სალაევას ოჯახი - 162,179 ლარი, ჯუმბერ სალაძის ოჯახი - 118,237 ლარი) ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით - 459,512 ლარი.

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 017 წლის 16 ოქტომბრის №220 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №588 განკარგულების საფუძველზე გაცემული ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდით წამლობითი ღონისძიებების გატარების მიზნით - 16,000 ლარი.

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები

2017 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით 4,650.8 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა და IV ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2017 წლის საპროგნოზო მოცულობა 39,366.2 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42,428.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 107.8%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 25.2%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:



საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 1,993.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,434.3 ათასი ლარი) 139.0%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 917.5 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- რენტის სახით მიღებულია 1,076.1 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 157.3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 918.7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 34,028.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (32,809.0 ათასი ლარი) 103.7%-ია. აქედან:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 34,011.4 ათასი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 450.9 ათასი ლარი.

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი – 3.0 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 4.4 ათასი ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 30,630.2 ათასი ლარი, მათ შორის:

სათამაშო აპარატებიდან – 17,149.8 ათასი ლარი;

სამორინეს მაგიდიდან – 10,683.1 ათასი ლარი;


სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 2,497.2 ათასი ლარი;

წამახალისებელი გათამაშებიდან – 92.9 ათასი ლარი;

კლუბის მაგიდიდან - 126.0 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 81.2 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტში 2017 წელს მიღებული თანხები



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 1,848.7 ათასი ლარის ოდენობით.

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 1,074.0 ათასი ლარი;

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი - 0.2 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 16.7 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 4,947.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,200,0 ათასი ლარის) 117.8%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 157.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 110.5 ათასი ლარი;

სავაჭრო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 3,242.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 23.5 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე სავაჭრო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში - 700.8 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაამყანის პირობების დარღვევის გამო - 0.1 ათასი ლარი;



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 63.1 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 74.1 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 51.1 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 10.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 438.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 46.2 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 8.6 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 9.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან - 10.8 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულია 1,458.9 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 922.9 ათას ლარს შეადგენდა. ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 158.1%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 248.9 ათასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 233.6 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 13.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან - 641.4 ათასი ლარი;


ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან მიღებულ საფასურს - 37.7 ათასი ლარი;

მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 1.4 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 282.5 ათასი ლარი;



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	39,366.2	42,428.4	3,062.2
შემოსავლები საკუთრებიდან	1,434.3	1,993.5	559.2
პროცენტები	709.3	917.5	208.2
რენტა	725.0	1,076.1	351.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	100.0	157.3	57.3
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	625.0	918.7	293.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	32,809.0	34,028.1	1,219.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	32,809.0	34,011.4	1,202.4
სანებართვო მოსაკრებელი	450.0	450.9	0.9
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	3.0	3.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	4.4	4.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	29,496.0	30,630.2	1,134.2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,000.0	1,848.7	-151.3
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	863.0	1,074.0	211.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		0.2	0.2
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	16.7	16.7
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან		16.7	16.7
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,200.0	4,947.8	747.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	922.9	1,458.9	536.0




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	21,563.2	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.4
შემოსავლები საკუთრებიდან	3,824.3	3,243.4	3,347.7	1,431.1	1,993.5
პროცენტები	3,025.4	2,639.4	2,430.0	699.3	917.5
რენტა	798.9	604.1	917.7	731.8	1,076.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	268.8	102.2	284.9	154.6	157.3
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გადაცემიდან	530.2	501.9	632.8	577.2	918.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	11,702.6	16,340.6	22,932.9	25,445.3	34,028.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	11,696.8	16,334.3	22,927.1	25,444.4	34,011.4
სანებართვო მოსაკრებელი	361.0	468.9	525.1	435.8	450.9
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.4	1.9	3.5	3.0	3.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	11.4	5.0	3.4	2.4	4.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	9,544.7	13,644.9	20,167.5	21,835.4	30,630.2
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		943.5	687.5	1,458.6	1,848.7
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,755.9	1,270.1	1,540.0	1,709.3	1,074.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	22.50				0.2
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.8	6.3	5.8	0.9	16.7
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	5.8	6.3	5.8	0.9	16.7
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,906.3	4,871.8	4,901.6	4,187.9	4,947.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,130.0	2,462.0	1,849.9	2,166.8	1,458.9



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა



სხვა შემოსავლების დინამიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში მზარდია და 2017 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9,197.3 ათასი ლარით აღემატება.

არაფინანსური აქტივების კლება

2017 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 13,139.7 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (13,730.0 ათასი ლარის) 95.7% - ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 7.8%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 13,017.1 ათასი ლარი, ასევე შენობა ნაგებობების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 122.5 ათასი ლარი, ხოლო 31.4 ათასი ლარი მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 103.9 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 103.9 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 5,937.2 ათასი ლარი, შესაბამისად 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 6,041.1 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2017		103.9
ნაშთის ცვლილება	-103.9	5,937.2
ზრდა	0.0	5,937.2
ვალუტა და დეპოზიტები		5,937.2
კლება	103.9	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	103.9	
ნაშთი 01.01.2018		6,041.1




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში






**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და
არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

(ათასი ლარი)

№	გადასახდელების დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული ი გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	12,204.6	11,887.8	97.4%	8.2%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	8,605.8	8,304.4	96.5%	5.7%
1.2	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	3,583.6	3,583.5	100.0%	2.5%
1.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	15.2	0.0	0.0%	0.0%
2	თავდაცვა	12.6	11.8	93.3%	0.01%
3	ეკონომიკური საქმიანობა	44,604.3	42,518.4	95.3%	29.4%
3.1	ტრანსპორტი	42,326.7	40,672.5	96.1%	28.1%
3.2	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2,277.6	1,845.9	81.0%	1.3%
4	გარემოს დაცვა	11,869.0	11,289.0	95.1%	7.8%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	7,358.2	7,355.7	100.0%	5.1%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	4,510.8	3,933.3	87.2%	2.7%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	31,744.4	30,792.3	97.0%	21.3%
5.1	ბინათმშენებლობა	9,653.6	9,326.8	96.6%	6.5%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	15,166.6	15,022.6	99.1%	10.4%
5.3	წყალმომარაგება	5,376.8	4,930.7	91.7%	3.4%
5.4	გარე განათება	1,547.4	1,512.2	97.7%	1.0%
6	ჯანმრთელობის დაცვა	3,987.9	3,675.7	92.2%	2.5%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	23,099.9	22,411.4	97.0%	15.5%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	16,859.2	16,419.1	97.4%	11.4%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	5,949.8	5,722.0	96.2%	4.0%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	290.9	270.2	92.9%	0.2%
8	განათლება	13,825.7	13,344.7	96.5%	9.2%
9	სოციალური დაცვა	8,864.3	8,620.5	97.2%	6.0%
გადასახდელების ჯამი		150,212.7	144,551.5	96.2%	100.0%



ქ. ბათუმის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2017 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 12,204.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 11,887.8 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 97.4%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 8.2%-ს.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 12.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11.8 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 93.3%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამძღვლების ტრასპორტირების ხარჯებს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 44,604.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 42,518.4 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 95.3%. მისი www.batumi.ge



ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 29.4%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაციის, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების, მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 11,869.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 11,289.0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 95.1%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავების და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო პროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 7.8%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის, სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების ქვეპროგრამების ხარჯები, შეადგენდა 31,744.4 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 30,792.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 97.0%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 21.3%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 3,987.9 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 3,675.7 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 92.2%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.5%-ს.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 23,099.9 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 22,411.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 97.0%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15.5%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული ცენტრის განვითარების პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის ქვეპროგრამები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 13,825.7 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 13,344.7 ათას ლარს, ანუ გეგმის 96.5%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10,5%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 8,864.3 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 8,620.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.2%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6.0%-ს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ქრილში




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

(ათასი ლარი)


№	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	87,662.9	85,201.1	97.2%	52.4%
1	შრომის ანაზღაურება	19,528.6	19,384.2	99.3%	11.9%
2	საქონელი და მომსახურება	32,087.5	30,902.9	96.3%	19.0%
3	პროცენტი	3,583.6	3,583.5	100.0%	2.2%
4	სუბსიდიები	14,504.7	14,384.2	99.2%	8.8%
5	გრანტები	10.0	4.6	46.1%	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	7,848.5	7,279.2	92.7%	4.5%
7	სხვა ხარჯები	10,100.1	9,662.4	95.7%	5.9%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	62,549.8	59,350.4	94.9%	36.5%
III	ფინანსური აქტივების ზრდა	737.5	723.1	98.0%	0.4%
IV	ვალდებულებების კლება	17,627.0	17,425.8	98.9%	10.7%
გადასახდელების ჯამი		168,577.2	162,700.4	96.5%	100%



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები (საკასო შესრულება - 162,700.4 ათასი ლარი)



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები (საკასო შესრულება - 162,700.4 ათასი ლარი)





ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 162,700.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 168 577,2 ლარის 96,5%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 52,4%.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 19 384,2 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 11,9%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 30 902,9 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 19,0%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 3 583,5 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 2,2%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 14 384,2 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8,8%.

გრანტებზე მიიმართა 4,6 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7 279,2 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 4,5%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 9 662,4 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 5,9%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 59 350,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 62 549,8 ათასი ლარის 94,9%-ია, მთლიანი გადასახდელების – 36,5%.

ფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 723,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 98 %-ია, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 0,4%.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 17,425.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 17 627,0 ათასი ლარის 98,9%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში – 10,7%.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ კრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)



კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	28,931.9	28,638.4	293.5	99.0%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,621.5	1,537.3	84.2	94.8%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	6,806.0	6,623.8	182.2	97.3%
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	20,465.0	20,464.9	0.1	100.0%
01 04	სარეზერვო ფონდი	10.9		10.9	
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	15.2		15.2	
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	13.3	12.5	0.8	93.7%
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	95,205.4	91,165.8	4,039.6	95.8%
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	38,967.6	36,860.6	2,107.0	94.6%
03 02	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება	9,125.7	8,983.6	142.1	98.4%
03 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	19,929.9	19,178.4	751.6	96.2%
03 04	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	14,877.8	14,651.9	225.9	98.5%
03 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	9,134.1	8,820.8	313.3	96.6%
03 06	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	2,277.6	1,845.9	431.7	81.0%
03 07	ქალაქის დაგეგმარება	723.5	679.6	43.9	93.9%
03 08	მუნიციპალური სერვისების განვითარება	169.2	145.1	24.1	85.7%
04 00	განათლება	13,831.7	13,350.7	481.0	96.5%
04 01	სკოლამდელი განათლება	13,659.7	13,210.8	448.9	96.7%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	172.0	139.9	32.1	81.4%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	16,922.7	16,416.3	506.4	97.0%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	11,953.5	11,695.4	258.1	97.8%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4,678.3	4,450.6	227.7	95.1%
05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	290.9	270.2	20.7	92.9%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	13,685.4	13,129.2	556.3	95.9%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4,228.4	3,916.5	311.9	92.6%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	8,870.0	8,626.3	243.8	97.3%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	587.0	586.4	0.6	99.9%
გადასახდელების ჯამი		168,577.2	162,700.4	5,876.9	96.5%

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება
(პროგრამული კოდი 01 00)



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01)
ხარჯებმა შეადგინა 1,537.3 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,621.5 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 94.8%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1,083.0 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 376.6 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 7.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 63.9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 6.2 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 6,623.8 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 6,806.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 97.3%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 4,224.4 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 2,063.0 ათასი ლარი, გრანტებზე - 4.6 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 34.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 19.6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 276.3 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე - 1.8 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 196.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 196.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა 56.3 ათასი ლარის, სესხის ძირითადი თანხის დაფარვა - 140.3 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 20,268.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 20,268.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა სესხის მომსახურების საპროცენტო ხარჯების დაფარვა - 3,527.2 ათასი ლარის და სესხის ძირითადი თანხის დაფარვა - 16,741.1 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.



წვევამდელთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 01 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 13.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93.7%. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და სამემოდგომო გაწვევის მიხედვით, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევა მოხდა 358 წვევამდელის.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა აღრიცხვა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება (358 წვევამდელი).

➤ მიღწეული შედეგები:

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის ქ. ბათუმში წვევამდელთა და სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადაანაწილდა.

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,853.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,768.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.4%;

➤ პროგრამის აღწერა:

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ქუჩებში შეკეთდა 33447 კვ.მ. ორმული და 6216 კვ.მ. რკ.ბეტონის ფილა; შეიცვალა 3 ცალი რკ.ბეტონის ფილა;

არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ქუჩები შეკეთდა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით -151861 კვ.მ და ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის გარეშე - 59568 კვ.მ.;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი - დამზადდა და დამონტაჟდა 35 ცალი ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერი;



საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: ქვაფენილის საფარიანი ქუჩების შეკეთება-ახლის მონტაჟი 14200 კვ.მ., ქვაფენილიანი ქუჩების ქვიშა-ხრემოვანი ნარევით გამაგრება 29608,75 კვ.მ., დაზიანებული ბორდიურების შეცვლა/შეკეთება 361,05 გრძ.მ., ტროტუარებზე დაზიანებული ფილების შეცვლა - შეკეთება 3383,63 კვ.მ., დაზიანებული ბოძკინტების შეკეთება 485 ცალი, დაზიანებული ბოძკინტების შეცვლა-ახლის დამონტაჟება 238 ცალი. შეძენილ იქნა 330 ცალი დეკორატიული ბოძკინტი.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის ქუჩების, გზებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 31,729.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 30,154.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.0%;

➤ პროგრამის აღწერა:

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი - ი. ჭავჭავაძის და გ. ბრწყინვალეს ქუჩებს შორის არსებული ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა - ა) იმედაშვილის ქუჩა - 382,67 გრძ.მ.-ზე დაიგო 2930 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; ტროტუარებზე დაიგო 1927 კვ.მ. ფილა; მოეწყო 816 გრძ.მ. ბორდიური, 1064 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი, 489 გრძ.მ. სანიაღვრე მილი და 21 ც. სანიაღვრე ჭა; დამონტაჟდა 8 ც. საგზაო ნიშანი; დაიგო 21,6 კვ.მ. კორდი; ბ) მერკვილაძის ქუჩა - სამუშაოების წარმოება დასრულდა 2016 წელს, ხოლო დაფინანსდა 2017 წელს. გ) ფალავანდიშვილის ქუჩა - 170 გრძ.მ.-ზე დაიგო 1000 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; ტროტუარებზე დაიგო 574 კვ.მ. ფილა; მოეწყო 306 გრძ.მ. ბორდიური, 320 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი, 231 გრძ.მ. სანიაღვრე მილი და 11 ც. სანიაღვრე ჭა; დამონტაჟდა 2 ც. საგზაო ნიშანი; დაიგო 4,32 კვ.მ. კორდი; დ) პუშკინის ქუჩა - 1028 გრძ.მ.-ზე დაიგო 8088 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; ტროტუარებზე დაიგო 6415 კვ.მ. ფილა; მოეწყო 1237 გრძ.მ. ბორდიური, 696,7 გრძ.მ. სანიაღვრე მილი და 24 ც. სანიაღვრე ჭა; დამონტაჟდა 47 ც. საგზაო ნიშანი; ე) სამხრეთის ქუჩა - 80 გრძ.მ. -ზე დაიგო 379,03 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 65 გრძ.მ. სანიაღვრე მილი და 4 ც. სანიაღვრე ჭა; დამონტაჟდა 4 ც. საგზაო ნიშანი; ვ) შევჩენკოს ქუჩა - 389 გრძ.მ. -ზე დაიგო 3055 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; ტროტუარებზე დაიგო 788 კვ.მ. ფილა; მოეწყო 500 გრძ.მ. ბორდიური, 411 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი, 561 გრძ.მ. სანიაღვრე მილი და 24 ც. სანიაღვრე ჭა; დამონტაჟდა 10 ც. საგზაო ნიშანი; ზ) სულაბერიძის ქუჩა - 117 გრძ.მ. -ზე დაიგო 2120 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; ტროტუარებზე დაიგო 887 კვ.მ. ფილა; მოეწყო 276 გრძ.მ. ბორდიური, 25 გრძ.მ. სანიაღვრე მილი და 4 ც. სანიაღვრე ჭა; დამონტაჟდა 2 ც. საგზაო ნიშანი; თ) წერეთლის ქუჩა - სამუშაოების წარმოება დასრულდა 2016 წელს, ხოლო დაფინანსდა 2017 წელს; ი) ლორიას ქუჩა - 272 გრძ.მ. -ზე დაიგო 3436 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; ტროტუარებზე დაიგო 2031 კვ.მ. ფილა; მოეწყო 860 გრძ.მ. ბორდიური და 450 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; დამონტაჟდა 4 ც. საგზაო ნიშანი; დაიგო 235 კვ.მ. კორდი.



ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის მეორე ეტაპი - დ. თავდადებულის და ლერმონტოვის ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა - ა) დემეტრე თავდადებულის ქუჩის კეთილმოწყობა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან მ. ვარშანიძის ქუჩამდე) - დამონტაჟდა 41 ცალი ცხაურიანი ოთკუთხედი სანიაღვრე ჭა, მოეწყო 1380,5 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილი, მოეწყო 2018 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური, მოეწყო 6231 კვ.მ. ორ შრიანი დეკორატიული ფილა, 1562 გრძ.მ.-ზე მოეწყო უსინათლოთა ბილიკი, 577 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 10550 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, დამონტაჟდა 24 ცალი საკომუნიკაციო ჭა, საკომუნიკაციო ჭების დასაკავშირებლად მოეწყო 1047 გრძ.მ. პლასტმასის მილი, დამონტაჟდა 22 ცალი საგზაო ნიშანი (ქვეითთა გადასასვლელი და მოძრაობის მანიშნებელი); ბ) ლერმონტოვის ქუჩის კეთილმოწყობა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან ორბელიანის ქუჩამდე) გრძ.მ - დამონტაჟდა 64 ცალი ცხაურიანი ოთკუთხედი სანიაღვრე ჭა; მოეწყო 1920,95 გრძ.მ. სანიაღვრე მილი, 2774 გრძ.მ. ბორდიური, 8601,61 კვ.მ. დეკორატიული ფილა და 1400 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი; 928 გრძ.მ. სავალ ნაწილზე დაიგო 14578 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი და 348 კვ.მ. კორდი; დამონტაჟდა 30 ცალი საგზაო ნიშანი.

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების (მონაკვეთების) კეთილმოწყობა - გ. ბრწყინვალეს და ბაგრატიონის ქუჩების დამაკავშირებელი ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა - ა) თაყაიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე) - 355 გრძ.მ.-ზე დაიგო 4319 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 864,8 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 20 ცალი სანიაღვრე ჭა, 729 კვ.მ. ფილები და 699 გრძ.მ. ბორდიური. ბ) სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე) - 363 გრძ.მ.-ზე დაიგო 4650 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 932,7 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 22 ცალი სანიაღვრე ჭა, 2887 კვ.მ. ფილები, 952,7 გრძ.მ. ბორდიური და 65 კვ.მ. კორდი; დამონტაჟდა 8 ცალი საგზაო ნიშანი; გ) ჰაიდარ აბაშიძის ქუჩის კეთილმოწყობა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე) - 407 გრძ.მ.-ზე დაიგო 5680 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 1024,3 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 26 ცალი სანიაღვრე ჭა, 3359 კვ.მ. ფილები, 1332,1 გრძ.მ. ბორდიური და 100 კვ.მ. კორდი; დამონტაჟდა 12 ცალი საგზაო ნიშანი; დ) 26 მაისის ქუჩის კეთილმოწყობა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე) - 517 გრძ.მ. -ზე დაიგო 6143 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 975 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 39 ც. სანიაღვრე ჭა, 1305 გრძ.მ. ბორდიური, 3256 კვ.მ. ფილა და 102 კვ.მ. კორდი; დამონტაჟდა 32 ცალი საგზაო ნიშანი. ე) ვაჟა - ფშაველას ქუჩის კეთილმოწყობა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე) - 540 გრძ.მ. -ზე დაიგო 6645 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 1053 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 34 ც. სანიაღვრე ჭა, 1371 გრძ.მ. ბორდიური, 32311 კვ.მ. ფილა და 112 კვ.მ. კორდი; დამონტაჟდა 4 ცალი საგზაო ნიშანი. ვ) მარუხის ქუჩის კეთილმოწყობა - 271 გრძ.მ. -ზე დაიგო 2200 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 605,7 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 22 ც. სანიაღვრე ჭა, 538,5 გრძ.მ. ბორდიური და 832 კვ.მ. ფილა. ზ) მარუხის I-II შესახვევის კეთილმოწყობა - 270 გრძ.მ. -ზე დაიგო 2045 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 490,6 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 16 ც. სანიაღვრე ჭა, 555,2 გრძ.მ. ბორდიური და 409 კვ.მ. ფილა.;

ე.წ. "ჭაობის" დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობის მეორე ეტაპი - (ანდრონიკაშვილის ქუჩის, ანდრონიკაშვილის შესახვევის, ბესიკის ქუჩის, ბესიკის შესახვევის, ჩაიკოვსკის ქუჩის კეთილმოწყობა) - ა) ანდრონიკაშვილის ქუჩა - 560 გრძ.მ.-ზე დაიგო 6900 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 1317 გრძ.მ. ბორდიური, 3192 კვ.მ. ფილა, 1060 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი, 1067,5 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 100 კვ.მ. კორდი და 22 ც. სანიაღვრე ჭა; დამონტაჟდა 10 ცალი საგზაო ნიშანი. ბ) ანდრონიკაშვილის შესახვევი



- 183 გრძ.მ.-ზე დაიგო 1800 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 374 გრძ.მ. ბორდიური, 878 კვ.მ. ფილა, 159 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი, 75 კვ.მ. კორდი, 208,8 გრძ.მ. სანიაღვრე მილები და 350 ც. სანიაღვრე ჭა; დამონტაჟდა 2 ცალი საგზაო ნიშანი. გ) ბესიკის ქუჩა - 770 გრძ.მ.-ზე დაიგო 6837 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 37 ცალი სანიაღვრე ჭა, 1034,5 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 1213 გრძ.მ. ბორდიური, 3290 კვ.მ. ფილა და 1160 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი. დ) ბესიკის შესახვევი - მოეწყო 16 ცალი სანიაღვრე ჭა და 489 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილი, ე) ჩაიკოვსკის ქუჩა - 638 გრძ.მ. -ზე დაიგო 6759 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 1147,4 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 70 ც. სანიაღვრე ჭა, 5032 კვ.მ. ფილა, 1120 გრძ.მ. უსინათლოთა ბილიკი, 136,8 კვ.მ. კორდი და 1711,15 გრძ.მ. ბორდიური; დამონტაჟდა 20 ცალი საგზაო ნიშანი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 05)

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი (პროგრამული კოდი 03 05 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 9 134,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 8 820,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, კერძოდ: ქალაქში არსებულ 70 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავების შეკეთება-მოწყობა (22 საცხოვრებელი კორპუსის სახურავი მთლიანად გამოიცვალა, 48 ნაწილობრივ შეკეთდა);

89 მრავალსართულიანი სახლის სახურავზე მოეწყო თოვლდამჭერი, ჭყალსაწრეტი მილები და წყალშემკრები ღარები;

25 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში კომუნალური სისტემის შეცვლა;

16 მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში განხორციელდა ამორტიზირებული და შესაკეთებელი ლიფტის შეკეთება-რეაბილიტაცია და ახლის მონტაჟი;

123 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ფანჩატურის შექმნა - შეტანა;

416 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის სკამების შექმნა-შეტანა;

80 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი;

44 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის სასმელი წყლის შადრევანის შექმნა-მონტაჟი;

12 მისამართზე მოეწყო არსებული ატრაქციონების მოედანი რეზინის ფილებით, 17 ატრაქციონს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, არსებული ატრაქციონებს დაზიანებული საქანელები შეიცვალა 60 ცალი ახალი საქანელებით;

6 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ასფალტის დაგება;

16 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დეკორატიული ფილების დაგება;

14 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ბეტონის საფარის დაგება;

6 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ბორდიურების მოწყობა;

6 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში კორდის მოწყობა;

53 მისამართზე მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური პულტით მართვადი ბარიერის მოწყობა;

49 მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

128 მისამართზე მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სენსორული განათების მოწყობა;



41 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტრო საკეტების მოწყობა;

ქალაქში არსებული ავარიული სახლების, შენობა-ნაგებობების აღდგენა - რეაბილიტირებულია 4 ავარიული სახლი და 1 მისამართზე შედგენილია გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია;

147 საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა - მონტაჟი;

25 მისამართზე მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა;

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში მოეწყო 20 კალათბურთის მოედანი;

13 მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლზე შეიცვალა აზბესტის ფურცლები ლითონის პროფილირებული ფურცლებით;

გონიოს დასახლებაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები - რვა მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, კერძოდ: მატათა მოციქულის ქუჩა 2 ჩიხი # 1 - რკ/ზ კედელი, მატათა მოციქულის ქუჩა 2 ჩიხი #8 - რკ/ზ კედელი, პეტრე იბერის ქუჩა #43 - რკ/ზ კედელი, პეტრე იბერის ქუჩა #69 - რკ/ზ კედელი, პეტრე იბერის ქუჩა 2 ჩიხი #4 - რკ/ზ კედელი, პეტრე იბერის ქუჩა 2 ჩიხი #20 - რკ/ზ კედელი N1, N2, ავგიის ქ. N50, დიდგორის 53,

კახაბრის დასახლებაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები - 19 მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, კერძოდ: ჯაყელის და შარაშიძის კვეთა, ხიდის ძირი მაჭახელას #71 - ნაპირსამაგრი სამუშაოები, ურების დასახლება #50 - შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ანა კალანდაძის #56 - შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები, თოდოგაურის დასახლება #111 - გამაგრებითი სამუშაოები, თოდოგაურის დასახლება #90 - ფერდსამაგრი კედლის მოწყობა, შარაშიძის 3 ჩიხი სახლი #2-ში ფერდსამაგრი კედლის მოწყობა, ზედადელეს 2 შესახვევი #27 - რკ/ზ კედელი, მახვილაურის ქუჩა #13 - რკ/ზ კედელი, დიდგორის ქუჩა #20 - რკ/ზ კედელი, თოდოგაურის დასახლება #88 - რკ/ზ კედელი, მაჭახლის ქუჩა #35 - რკ/ზ კედელი, თოდოგაურის დასახლება #78 - რკ/ზ კედელი, მაჭახლის ქუჩა #65 - რკ/ზ კედელი, ურების დასახლება #23 - რკ/ზ კედელი, ყადირ შერვაშიძის აღმართი #114 - რკ/ზ კედელი, თოდოგაურის დასახლება # 75 - რკ/ზ კედელი, ზედადელის 38, 69, ნაჭყებიას 50,

მწვანე კონცხის დასახლებაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები - 7 მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, კერძოდ: კვიპაროსის ქ. #18 - გამაგრებითი სამუშაოები, გაზაფხულის ქუჩის 1 შესახვევის #6-ში რ/ზეტონის საყრდენი კედლის მოწყობა წყალდამწრეტი სარკმლების გათვალისწინებით, კვიპაროსის #48-ში ფერდსამაგრი კედლის მოწყობა, თამარ მეფის 5 შესახვევი - რკ/ზ კედელი, თამარ მეფის 4 შესახვევი #12 - რკ/ზ კედელი, თბილისის ქუჩა #57 - რკ/ზ კედელი, ბაღის ქუჩა #6 - რკ/ზ კედელი.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობის ფარგლებში განხორციელდა - 13 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში განათების მოწყობა; ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.



მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 06 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 434,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 431,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება საფლავებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა-დასუფთავება, გამწვანება, ამორტიზირებული ხეების მოჭრა, საჭირო სამუშაო იარაღებისა და ინვენტარით უზრუნველყოფა, მუშა-მესაფლავეების სპეციალური უნიფორმითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ბალახის, ბუჩქებისა და ხეების მოვლა, სტრუქტურის წესრიგში მოყვანა, რეგულარულ დაგვა-დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება.

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა - აღნიშნული ღონისძიებით განხორციელა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა, ხდება მათი რეგისტრაცია, ნომრის მინიჭება.

მწვანე კონცხის დასახლებაში მახინჯაურის სასაფლაოს მიმდებარედ ფერდამცავი საყდენი კედლის მოწყობა - განხორციელდა მონოლითური რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა (საძირკველი 8 მეტრი და სიმაღლე 3 მეტრი).

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული სასაფლაოების გამართული ფუნქციონირება.

მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 843,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 414,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 76,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ახალი სასაფლაოს ინფრასტრუქტურის შექმნა - სამუშაოების დასრულება - დასრულდა დაბა ჩაქვში 177073 კვ.მ-ზე ახალი სასაფლაოს მშენებლობა, მიღებულია სამუშაოს დასრულების ექსპერტიზის დასკვნა, მიმდინარეობს ობიექტის ექსპლოატაციაში შესვლის სამუშაოები.

➤ მიღწეული შედეგები:

შექმნილია ახალი სასაფლაო ინფრასტრუქტურა.

ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 07)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 07 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 388,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 346,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 66 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 35 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 26 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 18 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 251 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

➤ მიღწეული შედეგები:

მომზადებულია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 07 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 335,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 332,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

უსახური ავტოფარეხების, დამხმარე ნაგებობებისა და სხვა შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად გაიცა საკომპენსაციო თანხები - 19,800 ლარის ოდენობით.

ბოტანიკურ ბაღში მცხოვრებ ოჯახებზე (10 ოჯახი) გაიცა საკომპენსაციო თანხები - 180,575 ლარის ოდენობით.

ლეს და მარია კაჩინსკებისა და ანგისის ქუჩების შემაერთებელი ახალი სავტომობილო გზის მშენებერე ზოლში მდებარე მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ გაიცა საკომპენსაციო თანხები - 51,508.57 ლარის ოდენობით.

მაიაკოვსკის ქ. #67-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ გაიცა საკომპენსაციო თანხები - 80,000 ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

შესაბამისი პროცედურების დაცვით გაცემულია საკომპენსაციო თანხები.



მუნიციპალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 03 08)

ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 03 08 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 169,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 145,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ადმინისტრირება.

პრიორიტეტი: განათლება

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 11 738,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 11 407,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,4%.

➤ პროგრამის აღწერა:

საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება - საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად მომსახურება გაეწია 7312 აღსაზრდელს.

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვება განხორციელდა "ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბერის №280/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით. სისტემატიურად ხორციელდებოდა კვების ბლოკის სანიტარული-ჰიგიენური მდგომარეობის და მოწოდებული პროდუქციის ხარისხისა და ვარგისიანობის შემოწმება.

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - ჩატარდა №4, №6, №8, №11, №14, №16, №17, №20, №22, №23, №24, №25, №26, №27, №28, №29, №30, №31, №32 საბავშვო ბაღების მიმდინარე ლოკალური სარემონტო სამუშაოები. საბავშვო ბაღებში შეტანილია ახალი სათამაშოები, ჭურჭელი, ავეჯი და ავეჯის აქსესუარები, ელექტრო ტექნიკა. ასევე განხორციელდა სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (გადამზადება) - თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებულია ტრენინგები.

➤ მიღწეული შედეგები:



უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი ფუნქციონირება; დაცულია სანიტარული ნორმები.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 921,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 803,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

თამარის დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა - დამუშავდა 1104 კუბ.მ. გრუნტი; მოეწყო 316,8 კვ.მ. სარდაფის კედლის ჰიდროიზოლაცია; მოეწყო 26,35 კუბ.მ. მონოლითური რკ. ბეტონის წერტილოვანი საძირკველი; მოეწყო 19 კუბ.მ. მონოლითური რკ.ბეტონის რანდ. კოჭები; მოეწყო 593, კუბ.მ. გადახურვის ფილა; მოეწყო 62,8 კუბ.მ. მონოლითური რკ.ბეტონის სვეტები; აშენდა დამხმარე სათავსო (საქვაბე, სამზარეულო, სამრეცხაო ობიექტით 12,2 X 4,7-ზე); მოეწყო 125 გრმ.მ. გარე წყალსადენის ქსელი; მოეწყო 62,8 გრმ.მ. ლითონის ღობე; კარისა და ფანჯრის ბლოკების თავზე მოეწყო 2,3 კუბ.მ. რკ.ბეტონის ზღუდარები; მოეწყო 41,8 კუბ.მ. კედლები ბლოკებით; მოეწყო 135 გრმ.მ. გარე წყალსადენი ქსელი.

სვიშევსკის ქუჩა №1-ში მდებარე №19 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი - დემონტაჟი ჩაუტარდა არსებულ სახურავს, კარის ბლოკებს და სხვადასხვა დაზიანებულ ფენილს; მოეწყო 126 კვ.მ. ხის სასხვენო გადახურვა; ჩაისვა 44 კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯრები; მოეწყო 4,1 კვ.მ. ყავისფერი მეტალოპლასტმასის კარის ბლოკი, 51 კვ.მ. ვიტრაჟი და 25 გრმ.მ. ფანჯრის რაფა; დაიხურა 902 კვ.მ. სახურავი პროფილირებული ფერადი თუნუქით; მოეწყო 100 გრმ.მ. წყალშემკრები ღარი; მოეწყო 20 კუბ.მ. კედელი; იატაკზე მოეწყო 1217,2 კვ.მ. ქვიშა-ცემენტის მქიმი; იატაკი მოპირკეთდა 235 კვ.მ. კერამიკული და 32 კვ.მ. გრანიტის ფილით; შეიღება 1039,9 კვ.მ. ჭერი; შეიღესა 614 კვ.მ. კედელი; კედელი მოპირკეთდა 651 კვ.მ. კერამიკული ფილით; შეიღესა 1292 კვ.მ. ფასადის კედელი; მოიხატა 399,2 კვ.მ. მთავარი ფასადი; აშენდა და კეთილმოეწყო დარაჯის ჯიხური ობიექტით 3,2X3,2; დამონტაჟდა გარე განათების 6 ბოძი; მოეწყო 232 გრმ.მ. სანიაღვრე ქსელი; მოეწყო 321 გრმ.მ ბეტონის ბორდიური; დაიგო 1023 კვ.მ. ბეტონის ფილები და 1162 კვ.მ. კორდი; მოეწყო 170 კვ.მ. სარინელი.

ურების დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა -განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: შიგა წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოები; საქვაბის ტექნოლოგიური მოწყობილობების და შენობის ცხელი წყლის მოწყობის სამუშაოები; შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები; შენობის შიგა ელ.სამონტაჟო სამუშაოები; მოეწყო ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია; აშენდა საქვაბის შენობა; მოეწყო გარე თბოქსელი; მოეწყო გარე წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი; მოეწყო გარე ელ. განათება; ეზოს მთელ პერიმეტრზე მოეწყო ბეტონის ღობე ლითონის მოაჯირით; შესრულდა ეზოს კეთილმოწყობა (დაიგო ბეტონის ფილები - 635 კვ.მ., მოეწყო ბეტონის ბორდიურები - 338 გრმ.მ., მოეწყო სათამაშო მოედნები ბავშვებისათვის - 4 ცალი, მოეწყო საქვიშარი - 4 ცალი, დაიდგა 2 ფანჩატური) მოეწყო სანიაღვრე კანალიზაცია პლასტმასის გოფირებული მილებით - 156 გრმ.მ., ეზოში დაიდგა საბაღე 5 ცალი სკამი და 4 ცალი ატრაქციონი.



წერეთლის ქუჩა №30-ში მდებარე №12 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი - მიმწოდებელ კომპანიას აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოების თანხა (წინა წელს შესრულებული სამუშაოების დაფინანსება).

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნებზე; გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

რეაბილიტირებულია არსებული საადმინისტრაციო ინფრასტრუქტურა და აშენებულია ახალი საადმინისტრაციო დაწესებულება.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 44,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 39,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში, ღონისძიების ფარგლებში, შეირჩა 14 სტაჟიორი. ისინი დაფინანსდნენ მეორე კვარტალში (13 სტაჟიორმა სტაჟირება გაიარა გერმანიაში, ხოლო ერთმა ესპანეთში).

ადგილობრივ და საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა: ღონისძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, შეირჩა და დაფინანსდა 15 ბენეფიციარი, რომლებმაც საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნებში: საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში..

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალგაზრდებისათვის უზრუნველყოფილია უცხოეთში სტაჟირების და ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 100,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 100,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია გაცა 50 სტუდენტზე, სასწავლო წლის თითოეულ სემესტრში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბათუმელი სტუდენტებე გაცემულია ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 28,0 ათასი ლარი; საანგარიშო პერიოდში დაფინანსება არ განხორციელებულა. რაც გამოწვეული იყო მიმწოდებელი კომპანიას სამუშაოების შესრულების ვადების დარღვევით და შესაბამისად შესრულების დოკუმენტის დაგვიანებით წარმოდგენით, რაზეც დაეკისრა პირგასამტეხლო.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული კოლეჯი "ბლექსის" შენობის ფასადის და ეზოს კეთილმოწყობა, კერძოდ: ბეტონის ფენით მოპირკეთდა 550 კვ.მ. ეზოს ტერიტორია; შებათქაშდა და შეიღება შენობის 450 კვ.მ. ფასადი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის "ბლექსის" ინფრასტრუქტურა.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 373,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 347,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიში - გაიმართა 10-15 ივლისის ჩათვლით. მონაწილეობდა 6 ქვეყნის 74 წარმომადგენელი, ღონისძიების მსაჯები გახლდნენ ტანვარჯიშის მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლები. ღონისძიება გაიმართა ტანვარჯიშის ფედერაციის



თანაორგანიზებით, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებითა და სერთიფიკატებით.

საერთაშორისო ჩემპიონატი ბილიარდში - განხორციელდა 2-5 ივნისს, მონაწილეობდნენ უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, სომხეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, გერმანიის, ყირგიზეთის ლატვის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, უზბეკეთის, ამერიკის და საქართველოს წარმომადგენლები. მერიის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო საპრიზო თანხები, სულ 22 050 ლარი, მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა საქართველოს წარმომადგენელი. ხოლო პირველ საპრიზო ადგილზე უკრაინის წარმომადგენელი.

საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ. ალთაბაევის თასზე - განხორციელდა 15 -30 სექტემბერს. მონაწილეობდნენ ერევნის, ტრაპზონის და ბათუმის მოზარდ კალათბურთელთა გუნდები, სულ 42 სპორტსმენი. ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ ვალერი ალთაბაევის ოჯახის წევრები. პირველი ადგილი დაიკავა ბათუმის გუნდმა; მეორე ადგილი - ტრაპზონის გუნდმა; მესამე ადგილი ერევანის გუნდმა; ხოლო მეოთხე ადგილზე გავიდა ანკარის გუნდი;

საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე - გაიმართა 21- 30 აგვისტოს. მონაწილეობდა ოთხი ქართული და ერთი უცხოური (ერევანი) გუნდი, გაიმარჯვა რუსთავის არენამ, ხოლო მეორე ადგილი დაიკავა ბათუმის გუნდმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით მედლებით.

მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში - ღონისძიება გაიმართა 12-14 მაისს, ღონისძიებაში მონაწილეობდა მსოფლიოს 170-მდე მოჭიდავე, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, უკრაინის, რუსეთის, ირანის, გერმანიის, ისრაელის, ბულგარეთის წარმომადგენელი. ტურნირი შეტანილია ჭიდაობის მსოფლიო კალენდარულ ნუსხაში და მასში მონაწილე სპორტსმენს სძენს სარეიტინგო ქულას.

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში - განხორციელდა 14-18 ივლისის ჩათვლით, მონაწილეობდა 6 სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენელი. გამარჯვება მოიპოვა თბილისის ქალთა წყვილმა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები მედლები, ასევე ფულადი პრიზები I - III ადგილზე გასულ სპორტსმენებს.

საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში - განხორციელდა 1-2 ივლისს, მონაწილეობდნენ უკრაინის, რუსეთის, მოლდოვის, ლიტვის, ლატვის, ესტონეთის, ბრიტანეთის, გერმანიის, რუმინეთის, ესპანეთის, იტალიის, ბელგიის, დანიის, ჰოლანდიის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ბრაზილიის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის წარმომადგენლები. ღონისძიებას მსაჯობდნენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები, I -VI ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ ფულადი პრიზები. გამარჯვებულ სპორტსმენებს ენიჭებათ სარეიტინგო ქულები. ღონისძიების განხორციელება შეტანილია მსოფლიო საერთაშორისო სპორტული ცეკვების ფედერაციის კალენდარში.

გ. მენაბდის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში - გაიმართა 8-11 სექტემბერს, მონაწილეობდნენ ბათუმის „დინამო“, ოზურგეთის „მერცხალი“, ლანჩხუთის „გურია“, ჩაქვის „მომავალი“, თურქეთის „ტრაპზონი“, აზერბაიჯანის „ასტანა“. შეჯიბრების პირველი ეტაპი მიმდინარეობდა წრიული სისტემით, მეორე ეტაპი ოლიმპიური სისტემით. მონაწილე სპორტსმენებს გადაეცათ 7 სხვადასხვა ნომინაციაში ფულადი პრიზები. პირველი ადგილი დაიკავა ბათუმის „დინამომ“.



აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში - ტურნირში მონაწილეობდა მიიღო ათი ქვეყნის საუკეთესო რეიტინგის მქონე 16 ქალთა და 16 მამაკაცთა გუნდი: საქართველო, ლატვია, ბელორუსია, სომხეთი, ბელგია, აზერბაიჯანი, ესტონეთი, რუსეთი, უკრაინა, თურქეთი. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებითა და სხვადასხვა პრიზებით. პირველ ადგილზე გავიდა რუსეთის გუნდი, როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა შორის. სპორტულ ღონისძიებაში გამარჯვებულ სპორტსმენებს ენიჭებათ სარეიტინგო ქულები. ღონისძიება შეტანილია მსოფლიო საერთაშორისო ფრენბურთის ფედერაციის კალენდარში.

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში - განხორციელდა 5-10 სექტემბრის პერიოდში, მონაწილეობდა 5 სერთაშორისო გუნდი: ყაზახეთის ნაკრები, ყაზახეთის ახალგაზრდული ნაკრები, ტერნოპოლის გუნდი, მინსკის გუნდი და სტამბულის გუნდი. ასევე სამი ქართული გუნდი: ბათუმის გუნდი, ბათუმის უნივერსიტეტის გუნდი, ფოთის გუნდი. ღონისძიებას მსაჯობდა ფიფას კატეგორიის არბიტრი. გაიმარჯვა ყაზახეთის ნაკრებმა გუნდმა.

საერთაშორისო ტურნირი მოზარდებს შორის თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი - 25-27 მაისს განხორციელდა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, მოზარდებს შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი, მონაწილეობდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, რუსეთის საქართველოს გუნდები. მონაწილეობდა 30 უცხოელი და 30-მდე ქართველი მონაწილე.

საერთაშორისო ფესტივალი აღმოსავლურ ორთაბროძლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თასზე - 1-5 ივნისის ჩათვლით განხორციელდა აღმოსავლურ ორთაბროძლებში საერთაშორისო ფესტივალი (შოტოკან კარატე-დოში ტურნირი, ხოლო კიოკუშინკაი; გოჯორიო; ტაეკვანდოში საჩვენებელი გამოსვლები, ასევე საწვრთნელი სემინარი- მსოფლიო კარატე დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით). მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, თურქეთის, ირანის, ყაზახეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ნაკრები გუნდები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, დიპლომებით.

საერთაშორისო ფესტივალი აღმოსავლურ ორთაბროძლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თასზე - (კარატე, ჯიუ-ჯიცუ და გრეპლინგი) - აღმოსავლურ ორთაბროძლებში საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება - კარატე, ჯიუჯიცუ, გრეპლინგი განხორციელდა 20 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით პერიოდში. მონაწილეობდნენ თურქეთი, სასომხეთი, ყაზახეთი, ირანი, ყატარი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია საერთაშორისო სპორტული ტურნირები, ადგილობრივი და უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 4 802,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 686,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის - ფარგლებში საანგარიშო წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა ასაკობრივი ჯგუფები, ახორციელებდა ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენასა და მომზადებას, ასევე ფუტზალისა და ქვიშის ფეხბურთის სახეობათა განვითარებას. კლუბის ბაზაზე არსებობს 10 ასაკობრივი ჯგუფი, დაფინანსება - 1,061.8 ათასი ლარი,

სარაგბო კლუბის „ბათუმი“ ძირითადი გუნდი მონაწილეობდა ეროვნულ ჩემპიონატში და იბრძოდა დიდი ექვსეულში მოსახვედრად. „სარაგბო კლუბმა ბათუმმა“ პირველად მიიღო მონაწილეობა მსოფლიოში აღიარებულ ერთ-ერთ წარმატებულ „ჩელენჯ-თასი“ გათემამებაში. გუნდმა წარმატებით იასპარეზა რამოდენიმე ეტაპი, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ, თუმცა ერთ-ერთ ეტაპზე გუნდი გამოეთიშა. კლუბმა ორგანიზება გაუწია „ქვიშის რაგბის საერთაშორისო“ ტურნირს, რომელშიც მონაწილეობდა უცხოური გუნდები. ტურნირის მიზანი იყო საპლაჟო სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია, ქალაქის ცნობადობის ამაღლება და ადგილობრივი სპორტსმენების სტიმულირება. უმაღლესი გუნდი 2016-2017 წლის საქართველოს პირველობაზე „დიდი 10“-ის ტურნირში, გავიდა მეორე ადგილზე. ასაკობრივი ჯგუფები: ა) ესპურთა (დუბლები) გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი; ბ) ჭაბუკთა „ა“ ლიგა 21 გუნდიდან გავიდა მე-12 ადგილზე. აქედან 6 მოთამაშე უმაღლესი გუნდის მწვრთნელებისგან შერჩეული იქნა და გადავიდა „დიდი10“-ის უმაღლესი ლიგაში; გ) ჭაბუკთა „ბ“ ლიგა 48 გუნდიდან ავიდა მე-14 ადგილზე; დ) საფესტივალო ასაკის ბავშვთა გუნდებში იზრდება მოთხოვნა სპორტული კლუბით სარგებლობაზე; დაფინანსება – 2,414.0 ათასი ლარი;

ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ - გუნდები (ქალთა და ვაჟთა) ასპარეზობს საქართველოს უმაღლესი ლიგის ეროვნულ ჩემპიონატში, დაფინანსება – 98.9 ათასი ლარი;

ხელბურთის კლუბი "ბათუმი" - სუბსიდირების ფარგლებში საანგარიშო პერიოდისათვის კლუბმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: კლუბის ძირითადმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო, საქართველოს 27-ე ჩემპიონატის მესამე საერთო ტურში, საქართველოს 27-ე ჩემპიონატის მეხუთე (დას. ჯგ) ტური, საქართველოს 27-ე ჩემპიონატის მეექვსე საერთო ტურში, საქართველოს 27-ე ჩემპიონატის მეშვიდე (დას. ჯგ) ტურში - 2017 წლის 27 ნოემბერს დაიწყო საქართველოს 28-ე ეროვნული ჩემპიონატი. პირველი ტურის თამაშები გაიმართა ქ. თბილისში, ხოლო მეორე ტური 20-22 დეკემბერს ქ. ქუთაისში. ამ ორი ტურის შედეგებით „ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ პირველ ადგილზეა. ძირითადმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო - PLAYOF (ოთხთა ტურნირი), სადაც გუნდმა დაიკავა საპრიზო ადგილი და მოიპოვა საგზური ევროპის ჩემპიონატზე. 2017 წლის 17-19 ნოემბერს კლუბმა ქ. მონსტარში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) ჩატარებულ „GHALLENGE CUP“, მიიღო მონაწილეობა, საპრიზო ადგილ ვერ დაიკავა თუმცა გუნდისთვის სპორტულ ღონისძებაში მონაწილეობა დიდი სტიმულირება იყო. 2017 წლის ივნისის თვეში ძირითადი გუნდი მიწვეული იყო ქ. ბაქოში საერთაშორისო ტურნირზე სადაც წარმატებითი იასპარეზა. 2017 წლის 3-10-17-24 დეკემბერს დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი 2002-03 წწ. დაბადებულ ვაჟთა გუნდებს შორის. დასავლეთის ტურის თამაშებში კლუბის ჭაბუკები პირველ ადგილზე არიან.



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატზე 2000-01წწ. დაბადებულ ვაჟთა გუნდმა იასპარეზა მესამე (დასავლეთის ჯგუფის) და მეოთხე ტურში (ბავშვთა ასაკობრივი), ხოლო შემდეგ გამოეთიშა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ნახევარ ფინალს. 2017 წლის 8-20 აგვისტოს, ქ. თბილისში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი 19 წლის ასაკის ვაჟთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა 24 ქვეყნის ნაკრები გუნდი, გუნდმა ჩემპიონატში მონაწილეობით დიდი გამოცდილება მიიღო. დაფინანსება – 326.2 ათასი ლარი;

წყალბურთის კლუბი ბათუმი - განახორციელა ეროვნული პირველობის ფარგლებში შეხვედრები სხადასხვა გუნდებთან, თბილისის „თბილისი“, თბილისის „არენა“, „ლოკომოტივი“, „სპექტრი“, ქუთაისის, საჩხერის, რუსთავის გუნდებთან, საბოლოო შედეგით ბათუმის გუნდმა დაიკავა მეხუთე ადგილი. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულ „საერთაშორისო ტურნირში პეტრე ბრეუსის თასზე“ გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი. 2003-2004 წლიანთა გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში იკავებს მეორე ადგილს. გუნდიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გახდა გიორგი ბარაბაძე, თორნიკე დიასამიძე და ალექსანდრე გორდელაძე. დაფინანსება - 130.5 ათასი ლარი;

საკალათბურთო კლუბი „ბათუმი 2010“ - ძირითადი გუნდი ასპარეზობს სუპერ ლიგაში; დაფინანსება - 655.3 ათასი ლარი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია პროფესიული და მასობრივი სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების სუბსიდირება.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 40,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 37,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბათუმელი სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისების მიზნით, ღონისძიების „ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა“ ფარგლებში, სხვადასხვა მაღალი დონის ჩემპიონატებში/ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად დახმარება გაეწიათ, ბათუმელ წარმატებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, ფინანსური და სპორტსმენტთა ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით. საანგარიშო წლის განმავლობაში სულ დაფინანსდა 11 ბენეფიციარი, მათ შორის 10 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი.

გაიმართა წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან, ფულადი პრიზებით დაჯილდოვდა 10 ადამიანი სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია პერსპექტიულ და წარმატებულ ბათუმელ სპორტსმენტთა ფინანსური მხარდაჭერა.



სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 4 983,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 923,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის დასრულება - დაიგო ხელოვნური 8290 კვ.მ. ბალახის საფარი; მოეწყო 1575 მაყურებელზე ტრიბუნა სადაც დამონტაჟდა საერთაშორისო სტანდარტის 1575 პლასტმასის სკამი; აშენდა 3 სართულიანი შენობა; განათების სისტემისათვის მოეწყო 6 ცალი გალვანიზირებული ლითონის ანძა; მოზაიკით მოპირკეთდა 313 კვ.მ. პანდუსების, ბაქნების და შიგა და გარე კიბის საფეხურების ზედაპირები; ცხელი წყლის სისტემისათვის დამონტაჟდა 342 გრძ.მ. პლასტმასის მილი და გაუკეთდა თბოიზოლაცია; დამონტაჟდა 2 ცალი საცირკულაციო ტუმბო; ცივი წყლის სისტემისათვის მოეწყო 560,66 გრძ.მ. პლასტმასის მილები; ელექტრო გაყვანილობისათვის დამონტაჟდა 1780 გრძ.მ. სხვადასხვა კვეთის ელ. სადენი; დამონტაჟდა 263 ცალი ჭერის სანათი; დამონტაჟდა შენობის ფასადზე მუქი ფერის ტონირებული ალუმინის ვიტრაჟი; შიდა კიბეებზე მოეწყო 45 გრძ.მ. ალუმინის ქრომირებული მოაჯირი; იატაკზე დაიგო 345 კვ.მ. კერამიკული ფილა; მოედნის პერიმეტრზე ბეტონით მოეწყო 21,45 კუბ.მ. ზედაპირული წყლების გადასაყვანი შემკრები არხი.

ავსაროსის ქუჩის მე-3 შესახვევში არსებული ღია სპორტული მოედნის კაპიტალური რეკონსტრუქცია - მოეწყო შემომფარგლავი ღობის ლითონის კვადრატული კვეთის სხვადასხვა სიმაღლის მილები, რომელთა შორის დამონტაჟდა სექციური მავთულბადე; დაიგო 756 კვ.მ. ხელოვნური საფარი; დამონტაჟდა 2 კარი და 2 კალათბურთის ფარი; მოეწყო 2 შესასვლელი კარი, დაიხაზა სპორტული მოედანი.

ტბ. აბუსერიძის ქ. #38-ში სპორტული მოედნის მოწყობა - დაიგო 254 კვ.მ. ხელოვნური მწვანე საფარი; დამონტაჟდა 4 ცალი განათების ბოძი, 2 ცალი კალათბურთის ფარი და 2 ცალი ფეხბურთის კარი.

აკაკი შანიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა - დაიგო 593 კვ.მ. ხელოვნური მწვანე საფარი; დამონტაჟდა 4 ცალი განათების ბოძი, 2 ცალი ფეხბურთის კარი და 2 ცალი საკალათბურთო ფარი.

ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კომპლექს „მაგნოლია“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვიშის მოედნის კეთილმოწყობა - დამონტაჟდა 1014 ცალი სკამი, 2 ფრენბურთის ბადე, მსაჯის 2 კომპი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 სართულიან შენობას სადაც, მოპირკეთდა საშხაპეები, სველი წერტილები, მოეწყო სადაწნევო კომპი, მოეწყო წყლის და კანალიზაციის სისტემა, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, მოეწყო-დაიყარა 40 სმ სისქეზე გარეცხილი ქვიშა, სტადიონის გარშემო ახლით შეიცვალა მავთულბადეები.

ქალაქ ბათუმში ზღვისპირა ზოლში ქვიშის საფარიანი სპორტული სტადიონის კაპიტალური შეკეთება - მოეწყო 1,827 კუბ.მ. 3 ცალი დროებითი გამყოფი ბადის დგარი, მოედნების ბადის დგარის სამირკველი (6 ერთეული) და ბადის დგარი (6 ერთეული); მოეწყო სტადიონზე 665 კუბ.მ. ქვიშის საფარი; შეიცვალა 138,2 კვ.მ შემოღობვის



დაზიანებული მავთულბადე; დამონტაჟდა ანაკრები ლითონკონსტრუქციის ტრიბუნა და კომპურა; ტრიბუნებზე დამონტაჟდა 700 სკამი, 652 ინდივიდუალური სავარძელი და 48 კომპლექტი ინდივიდუალური სავარძელი; არსებული პროექტორებისათვის შეიცვალა 5 ცალი სანათი; დამონტაჟდა მიმართული 5 ცალი სანათი (პროექტორი).

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა #322 მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის კაპიტალური შეკეთება - დაიგო 1104 კვ.მ. ხელოვნური მწვანე საფარი; დამონტაჟდა 6 ცალი განათების ბოძი, 2 ცალი კალათბურთის ფარი და 2 ცალი ფეხბურთის კარი.

ქ. ბათუმში, წმიდა თევდორე აჭარელის ქუჩა #2-2ა მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის კაპიტალური შეკეთება - დაიგო 497 კვ.მ. ხელოვნური მწვანე საფარი; დამონტაჟდა 4 ცალი განათების ბოძი, 2 სანათი პროექტორი, 2 ცალი კალათბურთის ფარი და 2 ცალი ფეხბურთის კარი.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური დამხმარეობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

➤ მიღწეული შედეგები:

აშენებულია მუნიციპალური სპორტული ბაზა, განახლებულია ქალაქის სასპორტო ინფრასტრუქტურა.

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 162,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 113,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,8%;

➤ პროგრამის აღწერა:

ადმინისტრაციული საქმიანობისათვის გატარდა რიგი სამეურნეო სამუშაოები, დაფინანსდა ცენტრის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები კავშირგაბმულობის, სატელეკომუნიკაციო, კომუნალური და სხვა;

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილ იქნა ყინულის მომვლელი მანქანა;

სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება - ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ჰოკეის ჯგუფი, წვრთნას ახორციელებს ჰოკეის ადგილობრივი მწვრთელი, წვრთნას გადიან საქართველოს ყინულის ჰოკეის გუნდის წევრები, რომლებიც რეგულარულად უტარებენ მასტერ კლასს ჰოკეის ჯგუფში გაერთიანებულ მოზარდებს; 2017 წლის 1 აპრილიდან ჰოკეის ჯგუფში გაერთიანებული მოზარდების წვრთნა ერთი თვით განახორციელა მოწვეულმა სპეციალისტმა. ჰოკეის ჯგუფში გაერთიანებულია 7-დან 15 წლამდე ასაკის 25 მოზარდი;



სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება - ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 11 სამოყვარულო ჯგუფი, 2 სინქრონული ფიგურული ციგურაობის გუნდი 3 ერთეულთა თანრიგის ნაკრები, რომელშიც გაწევრიანებულია 455-მდე მოზარდი. მიმდინარე წლის 25 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით ბუდაპეშტში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრი სინქრონულ ფიგურულ ციგურაობაში Budapest Cup 2017. ერთეულთა თანრიგის მოციგურავემ მიიღო მონაწილეობა ზამთრის ოლიმპიურ ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდა თურქეთის რესპუბლიკის ქ. ერზურუმში, სადაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მიმდინარე წლის აპრილის თვეში ერთეულთა თანრიგის მოციგურავეებმა მიიღეს მონაწილეობა ISU საერთაშორისო შეჯიბრებაზე ROSTER CUP 2017, რომელიც ჩატარდა საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. პარიზში, სადაც ერთმა სპორტსმენმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი. გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ობერსტდორფში 2017 წლის 1 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით ჩატარდა სასწავლი - საწვრთნო შეკრება ერთეულთა თანრიგის მოციგურავეთა შორის. მონაწილეობდა 6 სპორტსმენი. მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს ა(ა) იპ ბათუმის სპორტული ცენტრის ერთეულთა თანრიგის მოციგურავეები ანა-დეა გულბიანი- შმიდტი, ილია გოგიტიძე, ეკატერინე იაზადჯი, ინგა ფუტკარაძე და ნატალია ლომინეიშვილი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში იმყოფებოდნენ ISU -ს საერთაშორისო შეჯიბრებაზე „ cristal skate“, რომელიც მიმდინარეობდა 24 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით. სადაც დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები. ანა-დეა გულბიანი-შმიდტი პირველი ადგილი (ოქრო); ილია გოგიტიძე მეორე ადგილი (ვერცხლი), ნატალია ლომინეიშვილი მესამე ადგილი (ბრინჯაო). აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს 31 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით ბულგარეთის ქალაქ სოფიაში ISU-ს საერთაშორისო შეჯიბრებაზე Denkova staviski cup. საპრიზო ადგილები: ანა-დეა გულბიანი შმიდტი მესამე ადგილი (ბრინჯაო), ილია გოგიტიძე მეორე ადგილი (ვერცხლი), ეკატერინე იაზადჯი მესამე ადგილი (ბრინჯაო). 24 დეკემბერს სპორტული ცენტრის ყინულის მოედანზე ჩატარდა 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის სპორტული ცენტრის ერთეულთა თანრიგის მოციგურავეებმა, ქუთაისის მოციგურავეებმა, ბათუმის ჰოკეის გუნდმა, ბათუმის სინქრონულმა დასმა, სამოყვარულო ჯგუფების აღსაზრდელებმა და ასევე მორის ყვითელაშვილმა და ირაკლი მაისურაძემ.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ცენტრის ბაზაზე არსებული სპორტული კლუბების საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა.

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 114,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 111,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,3%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ეზოს ფეხბურთი - ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში ჩამოყალიბდა 27 საფეხბურთო გუნდი, რომელშიც გაწევრიანებულია 2002-2007 წლებში დაბადებული მოზარდები.



ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი გარბენი - ჩატარდა ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენი-2017, რომელშიც 150-მდე მოქალაქე მონაწილეობდა;

საერთაშორისო ველო სპორტის დღისადმი მიძღვნილი ველომარათონი - 2017 წლის 6 აპრილს გაიმართა ველო მარათონი, რომელშიც 300-მდე, როგორც მოყვარული ასევე სპორტსმენი მოქალაქე იღებდა მონაწილეობას;

Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა - საგაზაფხულო ლიგის გათამაშება ჩატარდა. სპორტულ აქტივობაში 14 გუნდი მონაწილეობდა; 5-6 დეკემბერი Street ball-ის საშემოდგომო ლიგა ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრის მრავალფუნქციურ დარბაზში დაიწყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 9 გუნდი: Alikes, All green, 4on3, Eden ways, Bsu, Monsters, Bigs, Lions, Not afraid გამოვლინდება, როგორც შეჯიბრის, ასევე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები რომლებსაც, გადაეცათ პრიზები.

ვეტერანებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირის ორგანიზება - ჩატარდა ვეტერანთა შორის ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობებში. აღნიშნულ აქტივობაში მონაწილეობდა 99 ვეტერანი, მათ შორის 66 კაცი და 33 ქალი.

ორგანიზაციებს შორის ტურნირი მინი ფეხბურთში - სპორტული ცენტრის მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზში სტარტი აიღო ორგანიზაციებს შორის ტურნირმა, მინი-ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ორგანიზაციის 9 გუნდმა;

სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის - ქ. ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზატორობით, 9-10 დეკემბერს სპორტული ცენტრის მრავალფუნქციურ დარბაზში ჩატარდა შ.შ.მ. პირთა მონაწილეობით სპორტული თამაშები (ფეხბურთში, შაშში და ნარდში). ტურნირში მონაწილეობდა გუნდები ქუთაისი, ზესტაფონი, ფოთი, თბილისი და აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 300,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 299,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საჭადრაკო კლუბის მიერ განხორციელდა საწვრთნო ბაზის სრულყოფა; საჭადრაკო კლუბ ნონასთან არსებულ ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა და მოზარდთა მომზადება; ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება; შიდა ტურნირების ორგანიზება; საჭადრაკო მატჩების ორგანიზება უცხოელ მოჭადრაკეებთან, საჭადრაკო ლაივ დაფების მეშვეობით; ღია საერთაშორისო ნორმირებული ფესტივალის ორგანიზება; შიდა საჭადრაკო ტურნირების ორგანიზება.

კლუბის მიერ ჩატარებულ იქნა 16 საერთაშორისო ღონისძიებება, ორგანიზება გაეწია 24 ტურნირს.



➤ მიღწეული შედეგები:

საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირები, საჭადრაკო კლუბის წევრები და ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობას ღებულობენ ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში.

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 136,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 136,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამების ფარგლებში ორგანიზაციამ მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში, კერძოდ: 1. ქ. ბაქო 21-30 აპრილის 1600 მეტრზე რბოლა - IV ადგილი, მონაწილეობდა ორი სპორტსმენი. 2. ქ. სამტრედია, 25-26 მაისი შეჯიბრი დოღში - I ადგილი, მონაწილეობდა ერთი სპორტსმენი. 3. ქ. თბილისი, 19-25 ივნისი შეჯიბრი კავკასიის თასზე - III ადგილი, მონაწილეობდა ორი სპორტსმენი. 4. ქ. ბაქო - 28 ივლისი-07 აგვისტო, შეჯიბრი 3 წლიანი ცხენების 2400 მეტრზე რბოლა - III ადგილი, მონაწილეობდა ორი სპორტსმენი. 5. ქ. ფოთი, ვალერიან მაქაცარია სახელობის შეჯიბრი იუნიორთა შორის 1 იუნორი - I ადგილი. 6. ქ. აბაშა - 17-18 ნოემბერი, საქართველოს თასის 2400 მეტრზე რბოლის შეჯიბრი. 7. ქ. თბილისი 16-18 დეკემბერი - ლისის იპოდრომზე საქართველოს პირველობის შეჯიბრი 1 ადგილი.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია მუნიციპალური საცხენოსნო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობისა და საცხენოსნო სპორტის პოპულარიზაციის ღონისძიებები; უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე.

ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი (პროგრამული კოდი 05 01 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 40,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 39,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

კლუბმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატში (წყვილთა რბოლაში, დრიფტი).

➤ მიღწეული შედეგები:

შექმნილია უსაფრთხო ტრასა კარტინგისთვის და ექსტრემალური მართვის სწავლებისთვის, უზრუნველყოფილია ავტოდრომის სახელით მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)



**საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა
(პროგრამული კოდი 05 02 01)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 482.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 471.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი ფესტივალები და ღონისძიებები:

კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი - კლასიკური მუსიკის ვარსკლავების მონაწილეობით, ჩატარდა კონცერტები. ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო 50-მდე ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებელი, რომელთა მიერ შესრულდა ცნობილი და პოპულარული ნაწარმოებები, ფესტივალის ორგანიზებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, ხოლო ფესტივალში მონაწილე ქართველი მუსიკალური შემსრულებლების შრომის ანაზღაურება განხორციელდა მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

"საავტორო კინოს ბათუმის XII საერთაშორისო ფესტივალი - ჩატარდა საავტორო ფილმების ბათუმის XII საერთაშორისო კინო-ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, გაიმართა კინოჩვენებები, მოწვეული იყო 50- მდე ცნობილი კინო-რეჟისორი და კრიტიკოსი. მოეწყო ცნობილ რეჟისორთა მასტერკლასები.

"ბათუმის ანიმაციური ფილმების IX საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა - ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ბავშვებისა და მოზარდებისათვის გასართობი და შემეცნებითი ხასიათის კინოჩვენებები. პროგრამაში გათვალისწინებული იყო 15-მდე ქვეყნიდან არანაკლებ 25 ფილმის წარდგენა (2015-2016 წლებში წარმოებული ნამუშევრები), გაიმართა ახალგაზრდა ანიმატორების ფილმებისა და ანიმაციის ფილმწარმოების ინტერაქტიული პრეზენტაციები, დაიბეჭდა ფესტივალის სასაჩუქრე კალენდრები და განხორციელდა სხვა თანმდევი მომსახურება.

"მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში, საწყის ეტაპზე, შეირჩა დრამატურგები, რომლებმაც დაწერენ მონო-პიესები სპეციალურად მონო-ფესტივალისთვის. დრამატურგების მიერ დასახელდა რეჟისორები, რომლებიცმაც თავის მხრივ შეარჩიეს მსახიობები.

სპექტაკლების წინამოსამზადებელი პერიოდი განისაზღვრა 10 დღით, რის შემდეგაც ბათუმის სხვადასხვა ალტერნატიულ სივრცეში, თანმიმდევრულად ერთი კვირის განმავლობაში, დაიწყო სპექტაკლების ჩვენება. ჩვენებები შედგა საჯარო სივრცეებში."

მოდის საერთაშორისო კვირეული - „Adjara Fashion Week“- კვირეულის ფარგლებში ბათუმს ეწვივნენ მოდის ინდუსტრიიდან კრიტიკოსები, ბლოგერები, ჟურნალისტები, პოპულარული მოდის ჟურნალის გამომცემლები, დიზაინერები. კვირეული გაიმართა 5 დღის განმავლობაში, მოეწყო ცნობილი ბრენდების კოლექციებისა და ქართველი პროფესიონალი დიზაინერების კოლექციების ჩვენებები, გაიმართა შოუ-რუმები, აქსესუარების გამოფენენები, მასტერკლასები, ცნობილი დიზაინერების პრესკონფერენციები.პროექტის მიზანია იყო ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია, ხელოვნებისა და მოდის განვითარების ხელშეწყობა, დიზაინერების მხარდაჭერა.



Miss & Mister Planet - კონკურსის ფარგლებში საქართველოში ჩამოვიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კონკურსანტები, საერთაშორისო ჟიური და წინა წლის კონკურსში გამომარჯვებულები. ჩატარდა საქველმოქმედო საღამო, გაიმართა ნაციონალური სამოსის ჩვენება. ქართული ღირშესანიშნაობების, კულინარიისა და ტრადიციების გაცნობის მიზნით მოეწყო ტურები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა „ტალანტ-შოუ“ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ცნობილმა მომღერლებმა, ქართული ცეკვის ანსამბლებმა, კონკურსი დასრულდა საფინალო ღონისძიებით.

სილამაზის კონკურსი „მის საქართველო“ - ღონისძიების ფარგლებში ქ. ბათუმში ჩატარდა „მის საქართველო 2017“ ფინალური შოუ და გალა კონცერტი. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს 17 - 25 წლამდე ასაკის 30-მდე კონკურსანტებმა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. კონკურსანტებს, წინამოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში, ჩაუტარდათ ფოტო და ვიდეო გადაღებები, დასკვნით ღონისძიებაზე, ფინალური შოუს სახით, კონკურსანტები წარსდგნენ წარმომადგენლობითი საერთაშორისო ჟიურის წინაშე, რომლებმაც გამოავლინეს სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია საერთაშორისო ფესტივალები.

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 250,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 243.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დაფინანსდა შემდეგი ინიციატივები:

1. პროექტი „სტუმრად ჯადოსნურ სამყაროში“.
2. პროექტი „XVI საერთაშორისო ფესტივალ - კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ 2017“.
3. პროექტი „ნანა სეფაშვილის პიესა „კონტრაქტი“ თანამედროვე დრამატურგია“.
4. პროექტი „მომავლის ვარსკვლავები“.
5. პროექტი „მუსიკალური ხელოვნება ბაროკოდან 21-ე საუკუნამდე“.
6. პროექტი „პატარა ვარსკვლავების შეხვედრა დიდ ვარსკვლავებთან“.
7. პროექტი „ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის პოეზიის კონკურსი „ზღვური“.
8. პროექტი " საიუბილეო საგასტროლო ტურნე „ილია ჭავჭავაძე 180 - უკვდავების ფენომენი“.
9. პროექტი „შავი ზღვის ტანგოს ფესტივალი „BeSTFest“ (Black Sea Tango Festival)“.
10. პროექტი „MISA - მუსიკის საერთაშორისო საზაფხულო აკადემია“.
11. პროექტი „ზღვა და სამყარო“.
12. პროექტი „თოჯინების თეატრი საბავშვო ბაღებს“.
13. პროექტი „საინტერესო ხელოვნება“.
14. პროექტი „პიაცა არტ ფესტივალი PIAZZA ART FEST“.
15. პროექტი - ფესტივალი „კერამიკის ალქიმი“.
16. პროექტი „ნუ ელი სიტყვას“.
17. პროექტი „ბათუმი არის ურთიერთობა“.
18. პროექტი „სიმღერა ბათუმზე 2017“.
19. პროექტი „პატარა ვარსკვლავების შეხვედრა დიდ ვარსკვლავებთან“.
20. პროექტი „ქართული ტრადიციები - ART TOUR“.
21. პროექტი „მუსიკალური სახლი“, 25 ივლისი-25 აგვისტო.
22. პროექტი „ხელოვნება ბათუმში“.
23. პროექტი „MATOR“.
24. პროექტი



„ჭკვიანი ქალაქი“. 25. პროექტი „მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია“. 26. პროექტი „თოჯინები იცინიან“.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობის დამატებითი შესაძლებლობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (განათლებისა და კულტურის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 10,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 67.1%. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა ხორციელდებოდა კომისიური წესით. საანაგარიშო პერიოდში ხელშეწყობის მოთხოვნით წარმოდგენილი იქნა მხოლოდ შვიდი განცხადება, რამაც განაპირობა ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ქ. ბათუმში მოღვაწე შემოქმედებითი ჯგუფების, ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული ინდივიდუალური შემსრულებლების, მხატვრებისა და ფოტოხელოვანების მხარდამჭერი ღონისძიებები. კერძოდ, იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში. ქვეპროგრამით დაფინანსდა 6 ხელოვანი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია შემოქმედებითი ჯგუფების, ინდივიდუალური შემსრულებლების, მხატვრებისა და ფოტოხელოვანთა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3,150.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,970.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94.3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდა სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები და კონცერტები.

საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება - ა) 26-27 აპრილი - ქალთა კამერული გუნდი მონაწილეობდა ქ. თბილისში საგუნდო მუსიკის VII საერთაშორისო ფესტივალში. ფესტივალი ტარდება ყოველი წლის გაზაფხულზე. მასში მონაწილეობას ღებულობენ საქართველოში არსებული აკადემიური და საბავშვო საგუნდო კოლექტივები. ბ) 19-28 მაისი - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“ - მივლინებული



იყო უკრაინის რესპუბლიკაში, ქ. ვინიცაში ევროპის დღისადმი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. გ) 16-20 ივნისი – ბათუმის კულტურის ცენტრის „ჯაზ ბიგ-ბენდი“ მიწვეული იქნა გერმანიის რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინსა და პოსტდამში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, რომელშიც ბენდმა პირველი ადგილი დაიკავა.

ქალაქისა და ქვეყნის ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა - ა) დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: ბათუმის საზაფხულო თეატრში გაიმართა დედის დღის აღსანიშნავი საზეიმო საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღო ბათუმის კულტურის ცენტრის შემოქმედებითმა ჯგუფებმა - ენვერ ხაბაძის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლი, ხალხურ საკრავიერ ინსტრუმენტალისტთა ტრიო, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი და ქალთა ფოლკლორული ანსამბლი. მრავალშვილიან დედებს გადაეცათ ყვავილები და საჩუქრები. ბ) 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა: ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ მოქალაქეები, "კულტურის ცენტრის" შემოქმედებითმა კოლექტივმა, კერძოდ, სასულე ორკესტრმა შეასრულა მარშები. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით. გ) 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, საქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის აღნიშვნის მიზნით, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით, ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ხალხური სიმღერების ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა. დ) 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით სასულე ორკესტრის მუსიკის თანხლებით. ე) 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით,, ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ანბანის კომპთან გაიმართა კონცერტი ქართველი პოპულარული მომღერლების შესრულებით (ს. ბეღია, ა. ჯოხაძე, ნ. ბადურაშვილი, მ. ზამბახიძე, გ. სუხიტაშვილი, ს. ხალვაში, და სხვ.) კონცერტში მონაწილეობდნენ ასევე ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები. ვ) 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, სადაც დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლების მონაწილეობით, ბავშვებს განწყობას უქმნიდა სხვადასხვა ზღაპრის გმირები, გაშვებული იქნა ჰელიუმის ბუშტები და მოეწყო უფასო ნაყინის აქცია. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ასევე ბათუმის ჯაზ ბიგბენდმა. ბათუმობა 2017- სახალხო დღესასწაული ჩატარდა სექტემბრის პირველ კვირას 2-3 სექტემბერს. დღესასწაული რევაზ ახრახაძის მიერ შედგენილი სცენარის „ბათუმი საოცრებათა ქალაქი“ მოეწყო. სადღესასწაულოდ მოირთო მემედ აბაშიძის ქუჩა გირლიანდებით და დროშებით, მოეწყო გამოფენები, მოძრაობის თეატრის მსვლელობა, კულინარიული ფესტივალი, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-ბაზრობა, საზაფხულო თეატრში გამოვლინდა საპატიო ბათუმელები, ამ დღეს გაიხსნა ასევე ე. ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლ „ბათუმის“ ვარსკვლავი. 2 დღის განმავლობაში ევროპის მოედანზე მიმდინარეობდა კონცერტი ბათუნელი ბენდების მონაწილეობით, დღესასწაული გალაკონცერტით დასრულდა, რომელშიც



მონაწილობდნენ პოპულარული ქართველი ესტრადის ვარსკვლავები. დღესასწაულზე მოწვეული იყვნენ უცხოელი დელეგაციები ბათუმთან დაძმობილებული ქალაქებიდან.

საახალწლო ღონისძიებები - ღონისძიებები დაიწყო 2017 წლის 25 დეკემბერს და 2018 წლის 2 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ყოველდღიურად ევროპის მოედანზე სპეციალურად მორთულ სცენაზე იმართებოდა საბავშვო კონცერტები, ბათუმელი ბენდების კონცერტები, საცირკო და აკრობატული წარმოდგენები, სხვადასხვა გასართობი შოუ პროგრამები. 31 დეკემბერს გაიმართა გალა კონცერტი რომელშიც მონაწილეობდა ჯგუფი მგზავრები და ბათუმელი შემსრულებლები. 2 იანვარს კი ჯგუფი გამოუვალი მდგომარეობის კონცერტი გაიმართა. საახალწლო ღონისძიების ფარგლებში, ბათუმის 21 უბანში (ახალი წელი შენს ეზოში) შედიოდა საახალწლოდ მორთული დიდი სატვირთო მანქანა და ბავშვებისათვის გასართობ პროგრამას ატარებდნენ ანიმატორები, ბავშვებს დაურიგდათ ბუმტები და ტკბილეული.

საახალწლო ღონისძიებები - ღონისძიებები დაიწყო 2017 წლის 25 დეკემბერს და 2018 წლის 2 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ყოველდღიურად ევროპის მოედანზე სპეციალურად მორთულ სცენაზე იმართებოდა საბავშვო კონცერტები, ბათუმელი ბენდების კონცერტები, საცირკო და აკრობატული წარმოდგენები, სხვადასხვა გასართობი შოუ პროგრამები. საახალწლო ღონისძიების ფარგლებში, ბათუმის 21 უბანში (ახალი წელი შენს ეზოში) შედიოდა საახალწლოდ მორთული დიდი სატვირთო მანქანა და ბავშვებისათვის გასართობ პროგრამას ატარებდნენ ანიმატორები, ბავშვებს დაურიგდათ ბუმტები და ტკბილეული.

დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები - დიასპორებთან ერთად განხორციელდა 31 ერთობლივი ღონისძიებება.

➤ მიღწეული შედეგები:

ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები, განხორციელებულია მუნიციპალური შემოქმედებითი კოლექტივების საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 751.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 744.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.1%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება - საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;

საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების



დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელისა და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების (84 ღონისძიება) ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, ბათუმში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები, სპეციალიზირებული სემინარები და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

მემორიალების პროექტების შედეგა (პროგრამული კოდი 05 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (განათლებისა და კულტურის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 13.9 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 13.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა 9 აპრილის და რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეყნის ისტორიასთან დაკავშირებული პირებისა და მოვლენების უკვდავსაყოფად შერჩეულია შესაბამისი მემორიალების/მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 05 02 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 20.0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში დაფინანსება არ განხორციელებულა. ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებულ იქნა სრულად და დაგეგმილ ვადებში, თუმცა დოკუმენტაცია შესრულებულ სამუშაოებზე წარმედგინა იქნა დაგვიანებით (მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2017 წლის 26 დეკემბერს), შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა დაფინანსება.

➤ **პროგრამის აღწერა:**

არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს დამცავი ზონების დამტკიცებისათვის საჭირო დოკუმენტაცია

➤ **მიღწეული შედეგები:**

შემუშავებულია არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს დამცავი ზონების დამტკიცებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია (სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება).

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 153.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 133.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87.0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ახალგაზრდების საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში აქტიურად ჩართვის მიზნით „ახალგაზრდული ცენტრის“ მეშვეობით ახალგაზრდებს (ასაკი 14-29 წელი) ეძლევათ შესაძლებლობა შეისწავლონ პროექტების მართვისათვის საჭირო აუცილებელი უნარჩ-ჩვევები, რაც გააძლიერებს ახლადშექმნილი ახალგაზრდული ჯგუფების მოტივაციას, გაზრდის ახალგაზრდების მიღწევათა შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობასა და წახალისებს დონორებს ახალგაზრდული პროექტების მხარდასაჭერად.

2017 წლის განმავლობაში ორგანიზება გაეწია ტრენინგ-სემინარის ჩატარებას, კერძოდ:

ა) 25-27 თებერვალს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ცენტრის, (ა)იპ "მრავალფეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულების განმტკიცებისთვის" და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა "გაეროს ახალგაზრდული ასამბლეა 2017", რომელშიც მონაწილეობა მიიღო რეგიონის 500 -მდე მოსწავლემ და სტუდენტმა. 27 თებერვალს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის "ახალგაზრდულ ცენტრში" მოხდა მონაწილეების მიერ თავიანთი პროექტების წარდგენა, საიდანაც გამოვლინდა სამი საუკეთესო პროექტი, რომელთა ფინანსური სუბსიდირება განხორციელდა „ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლებში“;



ბ) 9 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით, ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმის ჩვენება და საჯარო განხილვა;

გ) 3 მაისს ახალგაზრდების თხოვნით მოეწყო შეხვედრის ორგანიზება საქართველოს სახალხო არტისტთან, 1987 წელს კანის საერთაშორისო ფესტივალის გრან პრის მფლობელ ავთანდილ მახარაძესთან. შეხვედრა გაიმართა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში „ახალ სცენაზე“;

დ) 10 მაისს ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის „მოქალაქის გზამკვლევის“ პრეზენტაცია; ახალგაზრდებმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი;

ე) 17 და 18 მაისს ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე - „საგრანტო პროექტების მართვა“;

ვ) 6 ივნისს ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო შეხვედრა თანამედროვე ქართველ კლასიკოს მწერალთან, გურამ დოჩანაშვილთან;

ზ) 10 აგვისტოს მოეწყო შემეცნებითი ტური მაჭახელას ხეობაში. ტურს გაუძღვა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ცენტრის დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიკოსი როინ მაღაყმაძე;

თ) 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის 22 წლისთავთან დაკავშირებით, ახალგაზრდულ ცენტრში საჯარო ლექცია წაიკითხა კონსტიტუციონალისტმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებელმა ნიკოლოზ მეგრელიშვილმა;

ი) 27 აგვისტოს, ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში საჯარო ლექცია თემაზე "ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი", წაიკითხა თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა კოკა ბრეგაძემ;

კ) 21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მერიის ახალგაზრდულ ცენტრში, იოსებ ჯორბენაძემ ახალგაზრდული ცენტრის მოხალისეებთან ერთად მოხატა კედელი;

ლ) 1 ოქტომბერს, მერიის ახალგაზრდულ ცენტრში, საჯარო მმართველობის დოქტორმა, PR აკადემიის დირექტორმა - ნათია გოცაძემ, ჩაატარა მასტერ-კლასი თემაზე - „თვითგანვითარება და პროფესიული არჩევანი“;

მ) 19 ოქტომბერს, პეტრას ციხეზე ჩატარდა შემოქმედებითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმის კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. ახალგაზრდებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები, შეასრულეს სიმღერები, ჩაერთნენ ინტელექტუალურ თამაშებში. ღონისძიების ფარგლებში მოწვეულმა სტუმარმა, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ირაკლი შამათავა ახალგაზრდებს ესაუბრა თანამედროვე ქართველი და მსოფლიო მწერლების შემოქმედებაზე;

ნ) გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახალგაზრდებმა ბონის კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგეს ნარგავები.

ო) 17 ნოემბერს საჯარო მმართველობის დოქტორმა, PR აკადემიის დირექტორმა - ნათია გოცაძემ, ჩაატარა ტრენინგი, რომელშიც 35 ახალგაზრდა იყო ჩართული.

პ) 2017 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში ბათუმელი ახალგაზრდებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის



ფილიალის იურისტმა მირზა მამულაძემ, მოზარდებში ძალიან აქტუალური თემის ირგვლივ "როგორ უნდა მოხდეს ძალადობის პრევენცია სკოლებში/ახალგაზრდებში?";

ჟ) 2017 წლის 14 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით, ახალგაზრდებმა „მუზეუმების კვირეულის“ ფარგლებში, მოინახულეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმები, აგრეთვე გონიოს ციხე;

რ) 13 დეკემბერს, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა შეხვედრა პოეტ-პუბლიცისტ და საზოგადო მოღვაწე - რატი ამდლობელთან.

ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის" ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში დაფინანსდა და განხორციელდა 17 (ჩვიდმეტი) პროექტი:

ა) „ინკლუზიური სპექტაკლი თავისუფალ სივრცეში“ - პროექტის მიზანს წარმოადგენდა ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში თანამედროვე სადადგმო ხერხების შემოტანა, იმგვარი თეატრალური პროდუქტის შექმნა, რომლის ნახვა/აღქმა შესაძლებელი იქნებოდა შშმ პირთა თემის წევრებისათვის;

ბ) „ქუჩის მხატვრობა ბათუმის ფლორაში“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი კედლის მოხატვა, პროექტის შედეგად, ქუჩის მხატვრობით დაინტერესებულ დამწყებ მხატვრებს მიეცათ შესაძლებლობა პროფესიონალთაგან არსებული გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივად ახალი ხედვების ჩამოყალიბებისა. პროექტში ჩართული იყო ათი დამწყები ახალგაზრდა მხატვარი;

გ) „საქართველოს პარლამენტის მოდელირება“ - პროექტის ფარგლებში ახალგაზრდები გაეცნენ პარლამენტის ფუნქციებს, მიიღეს ცოდნა და გამოცდილება ისეთი საკითხების ირგვლივ მუშაობისა, როგორცაა „გარემოს დაცვა“; „ჯანდაცვა და მასთან დაკავშირებული პრობლემები“; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“ და სხვა. პროექტში ჩართული იყო ასამდე ახალგაზრდა;

დ) „სამართლებრივი ესეების ჩემპიონატი“ - პროექტის ფარგლებში ორმოცდაათმა მონაწილემ შეისწავლა ესეების წერის კულტურა, სტუდენტები ჩაერთნენ აქტიურ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და გაიღრმავეს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა;

ე) „გაეროს მოდელირების პროექტი ავსტრია-ვენა“ - პროექტის ფარგლებში 4 (ოთხი) ახალგაზრდა გაემგზავრა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სადაც მიეცათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული ახალგაზრდების მიერ ინიცირებულ გაეროს გენერალურ ანსაბლეს სხდომებს, გაცნობოდნენ გაეროს ფუნქციებს, მიეღოთ მნიშვნელოვანი პროფესიული ინფორმაცია და მოენახულებინათ ღირსშესანიშნაობები;

ვ) „ახალგაზრდული სამთო ბანაკი“ - პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა მოინახულეს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე - რაჭა, სადაც 7 (შვიდი) ღამისა და 8 (რვა) დღის განმავლობაში ცხოვრობდნენ კარვებში, დაკავებულნი იყვნენ ჯანსაღი ცხოვრების წესით, სწავლობდნენ ტურისტული ეკიპირების გამოყენებას, კლდეზე ცოცვას, მდინარეზე თოკით გადასვლას, გაეცნენ რაჭის შესახებ ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს, გამოიმუშავეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც გამოადგებათ მოგზაურობის დროს. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართული იყო 25 ახალგაზრდა.

ზ) „აქტიური მოქალაქეობა ჩვენი მომავლისათვის“ - პროექტის ფარგლებში 35 (ოცდათხუთმეტი) ახალგაზრდა ექვსი ღამისა და შვიდი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ბაკურიანში მულტიკულტურულ ბანაკში, სადაც ქართველი და



ამერიკელი ტრენერების მონაწილეობით უტარდებოდათ ტენინგები მულტიკულტურული თემატიკის ირგვლივ, აგრეთვე ინგლისური ენის გაკვეთილები, გადაიღეს სოციალური კლიპი. აღნიშნული პროექტი ემსახურებოდა ახალგაზრდების ჩამოყალიბებას მოტივირებულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქეებად;

თ) „FREEDOM'S Day” - პროექტი განხორციელდა ახალგაზრდა, ნიჭიერი ფოტოგრაფების პოტენციალის აღმოჩენისა და მათი წახალისების, მოტივაციის ამადლების მიზნით. მოეწყო ფოტო-გამოფენის ორგანიზება;

ი) „მრავალი გემო-ერთი მსოფლიო“ - პროექტის მიზანს წარმოადგენდა ბათუმის წარმოაჩენა, როგორც საინტერესო ქალაქის სხვადასხვა გემოვნების და ინტერესების მქონე დამსვენებლებისათვის. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ვიდეორგოლის გადაღება, რომელშიც აისახა ბათუმის გასტრონომიული მრავალსახეობა. პროექტში მონაწილეობდა აღნიშნული სფეროთ დაინტერესებული 30 ახალგაზრდა.

კ) „ველოპარკინგი“ - პროექტის მიზანი გახლდათ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება საზოგადოებაში, რომლის ფარგლებშიც, ქ. ბათუმში საზღვაო აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ველოპარკინგი. პროექტი განხორციელდა ქ. ბათუმის N10 საჯარო სკოლის, მე-10 კლასის მოსწავლეებმა;

ლ) „ნათელი“ - პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი, რომელზეც განთავდა 10 (მხატვრული ლიტერატურა) აუდიო წიგნი, უსინათლოთათვის და ზოგადად დაწყებითი საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის განათლების მიღების, პროექტის მონაწილეთათვის კითხვისა და ანალიტიკური უნარების განვითარების მიზნით. პროექტი განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის მეცხრე- ა კლასის მოსწავლეების მიერ;

მ) „საკვირაო სკოლა იქთიოლოგიაში“ - პროექტის ფარგლებში 15 მონაწილეს ჩაუტარდა ტრენინგის თეორიული და პრაქტიკული კურსი იქთიოფაუნისა და აკვაკულტურის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით. გაეცნენ ადგილობრივი აკვაკულტურის ენდემურ სახეობებს, შეისწავლეს თევზმომენების ძირითადი საფეხურები, ველური იქთიოფაუნის შენარჩუნების მეთოდები, შეექმნათ საბაზისო ცოდნა და ჩამოუყალიბდათ საერთო ხედვა იქთიოფაუნის მნიშვნელობის შესახებ;

ნ) „თურქეთისა და საქართველოს სკაუტების მეგობრობის ბანაკი“ - პროექტის ფარგლები ქ. ბათუმში, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე 7 დღის მანძილზე მოეწყო სკაუტური ბანაკი, რომელშიც მონაწილეობდა 80 ახალგაზრდა. ბანაკის ფარგლებში მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგები „სკაუტური პრინციპების, მეთოდებისა და უნარების“ (კარვის გაშლა, კოცონის დანთება, თოკების შეკვარა, პირველადი დახმარების აღმოჩენა), „ეკო ტრენინგი“, „ლიდერული თვისებების განვითარების“ შესახებ. ბანაკში მონაწილეობდა, როგორც აჭარის, აგრეთვე თურქეთის ახალგაზრდა სკაუტებიც, რომლებმაც გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ქართველ სკაუტებს, შეიმუშავეს ერთობლივი პროექტები მომავლისათვის.

ო) „ფორუმ თეატრის ფასილიტაცია“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფორუმ-თეატრის ფასილიტაცია, ანუ ს თეატრი ჩაგრულთათვის. 20-25 წუთიანი სპექტაკლი მიზნად ისახავდა პრობლემების თვალნათლივ წარმოჩენას მაყურებლისათვის და მათთან ერთად გამოსავლის ძიებას. აქტორებმა ორჯერ ითამაშეს სცენაზე და მას შემდეგ, რაც მეორედ დაიწყეს მოქმედება, აუდიენციას შესაძლებლობა მიეცა, გამხდარიყო ერთ-ერთი პერსონაჟი და შეეცვალა სცენარი ისე, როგორც მას სურდა. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა მიიღო 90-მა ახალგაზრდამ.



პ) „ხელოვნების მოყვარულთა სივრცე და ახალგაზრდა სპიკერთა პლატფორმა“ - პროექტის ფარგლებში ხელოვნებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა მოტივაციის, ცოდნის ამაღლების, ნიჭიერი ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოების, მათი იდეების გაზიარების, საინტერესო და პრობლემატურ თემებზე დისკუსიის გამართვის, საჯარო გამოსვლების ხელოვნების დაუფლების. პროექტში ჩაერთო 35 ახალგაზრდა.

ჟ) „ღიმილი წვიმაში“ - პროექტის ფარგლებში ახალგაზრდების მიერ განხორციელდა საწვიმარი ქოლგების მოხატვა სხვადასხვა თემატიკის გამოყენებით, როგორც „წვიმიანი ბათუმის“ სიმბოლოს და წვიმიან ამინდში შშმ პირების ჩართულობით, დაურიგდა ქ. ბათუმის ქუჩებში გამვლელ მოქალაქეებს, იმედის, ღიმილის, სიკეთის გამოხატულების ნიშნად.

რ) „კომპოსტირება“ - აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას გაუზიარეს თავიანთი თეორიული ცოდნა სოფლის მეურნეობაში „კომპოსტირების“ მეთოდის გამოყენების, მისი საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ. პრაქტიკულად აჩვენეს თუ როგორ მზადდება „კომპოსტი“ და რა შედეგამდე მივყავართ სოფლის მეურნეობაში აღნიშნული მეთოდის გამოყენებას.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შექმნილია ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული სივრცე, განხორციელებულია ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 60.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 60.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ინტელექტუალური თამაშები რა? სად? როდის? ღონისძიება ითვალისწინებდა ქალაქის მასშტაბით მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. ღონისძიება განხორციელდა სამ ეტაპად: ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები; ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები; გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები; თამაშები ჩატარდა „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy! - ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფი“ და „ბრეი-რინგი“-ს სისტემით. თითოეულ ეტაპზე გამოვლინდა გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ წიგნებით, თასებით, ფასიანი საჩუქრებითა და ბათუმის გარდამავალი თასით;

ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ - გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალურ კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეებმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაზრდილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა.



სტუდენტური საზაფხულო დასაქმება (პროგრამული კოდი 05 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 76.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 76.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.2%.

➤ პროგრამის აღწერა:

სტუდენტური საზაფხულო დასაქმება: პროგრამა მიზნად ისახავდა ბათუმელი ახალგაზრდებისათვის დროებითი სამუშაო ადგილების შექმნას; ფინანსურ მხარდაჭერას; მოტივაციის ამაღლებას; პიროვნული პოტენციალის რეალიზებას; პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლას; გამოცდილების მიღებას. პროგრამა ითვალისწინებდა იმ სტუდენტების დასაქმებას, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში და სწავლობენ ავტორიზირებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლო და პროფესიული სასწავლებლებში. სტუდენტები დასაქმდნენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, ასევე სხვა სახელმწიფო სტრუქტურულ ერთეულებში.

პრიორიტეტი კომისიური გადაწყვეტილებით მიენიჭათ შემდეგ სტუდენტებს: ა) სოციალურად დაუცველი; ბ) მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი ან მეტი შვილი) სტუდენტები; გ) მზრუნველობამოკლებული (დედით ან მამით ობოლი) სტუდენტები; დ) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ან გარდაცვლილად გამოცხადებული, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის შვილი; ე) სტუდენტები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იყვანენ ჩართულნი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ პროგრამებში (ეკოლოგიის, გამწვანების, გაწმენდით, სამუშაოებში ან სხვა აქტივობებში); ვ) მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები, რომელთა საერთო შეწონილმა საშუალო ქულამ შეადგენა 81 (ოთხმოცდაერთი) ქულა.

პროგრამის ფარგლებში, ერთი თვის განმავლობაში დასაქმებული იყო 177 სტუდენტი, თითოეული დასაქმებული სტუდენტის მიერ გაწეული შრომა ანაზღაურდა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

სტუდენტებისთვის შექმნილია სამუშაო გამოცდილების მიღების დამატებითი შესაძლებლობა.

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 402.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 372.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92.6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საანგარიშო წლის განმავლობაში მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით ისარგებლა 2667 ბენეფიციარმა, კერძოდ:

ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 249 ბენეფიციარი;

ეპილექსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 423 ბენეფიციარი;

მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 1880 ბენეფიციარი;

პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 100 ბენეფიციარი;

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება - 15 ბენეფიციარი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 35.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 27.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 77.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამით ისარგებლა 1925 ბენეფიციარმა. განხორციელდა შემდეგი მომსახურება: ქალების გინეკოლოგიური კონსულტაცია, საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, ნაცხის აღება, კოლპოსკოპია, საშვილოსნოს ექსოკოპიური გამოკვლევა, 30-40 წლამდე ასაკის ქალებში მამოგრაფიული გამოკვლევა. ასევე, მკერდის, პროსტატის, საშვილოსნოს, საკვერცხეების, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულ პირთა გამოკვლევა ონკომარკერებით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით განხორციელებულია დიაგნოსტიკა.

ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 34.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 34.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

თანდაყოლილი ამოვარდნილობის და დისპლაზიის მკურნალობის კურსი ჩაუტარდა 250 ბავშვს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ორთოპედიული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია სქრინინგი და მკურნალობა;

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 92.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 83.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 25 ბენეფიციარს (18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემების მქონე პირი) ჩაუტარდა რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამა, ერგოთერაპია, არტოთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება. ასევე პირები ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდება საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარებულია სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა (პროგრამული კოდი 06 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 99.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 96.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96.5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება გაეწია 499 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურეობა.



**C ჰეპატიტის დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება
(პროგრამული კოდი 06 01 06)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 285.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 232.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 81.6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები და განხორციელებულია პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი და დიაგნოსტიკა - 2491 ერთეული.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია C ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები და განხორციელებულია პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი.

**შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია
(პროგრამული კოდი 06 01 07)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 263.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 179.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 68.2%. ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოიწვია ბენეფიციართა (ვეტერანთა) დაბალმა ჩართულობამ, რის გამოც სრულად ვერ იქნა ათვისებული ღონისძიებით გათვალისწინებული ასიგნება.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საკურორტო (ურეკი, წყალტუბო და ბორჯომი) სამკურნალო რეაბილიტაციის პროგრამით ისარგებლა 360 ბენეფიციარმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის კურსი.

**ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია
(პროგრამული კოდი 06 01 09)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 466.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 397.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85.1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სმენის დარღვევის მქონე ბენეფიციართა აუდიოლოგიური სქრინინგი - 5188 ბენეფიციარი; სმენის დარღვევების მქონე ბენეფიციართა რეაბილიტაცია - 15 ბენეფიციარი; პირველადი სქრინინგი



მუკოვისციდოზზე - 5027 ბენეფიციარი; ადრეული რეაბილიტაცია - 144 ბენეფიციარი; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 54 ბენეფიციარი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სკრინინგი და მუკოვისციდოზზე სკრინინგი. განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის ჩატარებულია ტრენინგ-სემინარები.

ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 10)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 166.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 133.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 79.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მატერიალური დახმარება გაეწია ყოველთვიურად ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის 114 (ბენეფიციარი) პაციენტს; ასევე ლეიკემიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის 22 (ბენეფიციარი) პირს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 13)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 120.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 120.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 4 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 14)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 800.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 782.5 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 97.8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

დახმარება მედიკამენტების შექმენისათვის (2030 პირი), ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული და ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის თანადაფინანსება (558 პირი);

➤ **მიღწეული შედეგები:**

ბენეფიციარებს მიეწოდათ მედიკამენტები და განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება.

ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 06 01 15)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,460.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,456.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის - პირველადი პრეჰოსპიტალური სასწრაფო-სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით. კაპიტალის ზრდა - ავტომობილების და დეფიბრილატორის შექმენის მიზნით.

